# სამტრედიის მაცნე

გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N12 (9228) 29 აპრილი. 2017 წელი ფასი 50 თეთრი

## მოგილოცოთ? გილოცავთ!




ის ყველთ წერს...

## დავასუფთავოთ კი არა, შევინარჩუნოთ დასუფთავებული

3

## სამტრედიაში ძლიერი ქარის შედეგად მიყენებულ ზარალს ითვლიან



2

## საკადრო ცვლილებები მუნიციპალიტეტის გამგეობაში

2

## როცა დუმილი არ იყო ოქრო

4

## საქართველოს ნაკრები ცხრაგზის ევროპის ჩემპიონია



9



5

ლაჭყარ, ლაჭყარ, ანუ რატომ არ (ვერ) ვიზრდებით?

## ძველი ლამპიონები დიოდური განათების ლამპიონებით იცვლება

## ცნობა პეტიციის განხილვის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშის საერთო კრების მიერ წარმოდგენილი პეტიციის (მოთხოვნის) განხილვის თაობაზე (მის. ქ. სამტრედია, რესპუბლიკის 1. № 6).

პეტიციით სოფელ ჩხენიშის მოსახლეობა ითხოვს სოფლის სარწყავ-სანიაღვრე არხის რეაბილიტაციას.

პეტიციისა და თანდართული დოკუმენტების გაცნობა, დაინტერესების შემთხვევაში შეგიძლიათ საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში – საჯარო ინფორმაციის გაცნობისათვის არსებულ საინფორმაციო დაფაზე.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელია 2017 წლის 15 მაისის ჩათვლით. პირს შეუძლია საკუთარი მოსაზრებების წარდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა.

***ნუგზარ ჯაშიაშვილი***
***სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე***

## საკადრო ცვლილებები მუნიციპალიტეტის გამგეობაში

**ნინო ნანიტაშვილი**

საკადრო ცვლილება განხორციელდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში. გამგებლის, ვალერიანე ფოცხვერიას ბრძანების საფუძველზე

2017 წლის 10 აპრილიდან ლაშა ორმოცაძე დაინიშნა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის გამგებლის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების უფროსად. მანამდე ლაშა ორმოცაძე გამგებლის თანაშემწის პოზიციას იკავებდა.



შეგახსენებთ, რომ კოორდინაციის განყოფილების უფროსის თანამდებობა ვაკანტური იყო, საჯარო მოხელეთა შესარჩევი კონკურსის შედეგად ამ პოზიციაზე გამარჯვებული არ გამოვლინდა. მუნიციპალიტეტის გამგებელმა ყოფილი თანაშემწე სამსახურებრივი დაწინაურების წესით დანიშნა აღნიშნულ თანამდებობაზე.

ასევე საკადრო ცვლილება განხორციელდა 2017 წლის 18 აპრილიდან: მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებლად გამგებლის მორიგი ბრძანების საფუძველზე დავით მუქერია დაინიშნა. ეს უკანასკნელი პროფესიით ეკონომისტია, სხვადასხვა წლებში მუშაობდა დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის იმერეთის სამხარეო სააგენტოს სამტრედიის რაიონულ განყოფილებაში მთავარ სპეციალისტად, 4 წლის განმავლობაში დავით მუქერია იყო სოციალური მომსახურების სააგენტოს სამტრედიის რაიონული განყოფილების მთავარი სპეციალისტი, 2008 წლიდან კი 7 წლის განმავლობაში მუშაობდა სს ''პრივატბანკის'' სამტრედიის სერვისცენტრში უფროს ფინანსურ მენეჯერად. ამის შემდეგ დავით მუქერია უბრუნდება სოციალური მომსახურების სააგენტოს სამტრედიის განყოფილებას უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, სადაც დღემდე იმუშავა.

## სამტრედიაში ძლიერი ქარის შედეგად მიყენებულ ზარალს ითვლიან

**ნინო ნანიტაშვილი**

23 აპრილის დილას ძლიერმა ქარმა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობას სახურავი ნაწილობრივ გადახადა. 450 კვადრატული მეტრი თუნუქის მასალა თავისი ხის კონსტრუქციებით მოგლიჯა და ადმინისტრაციული შენობის შიგა ეზოში ჩამოაგდო.

ვინაიდან 23 აპრილი კვირა იყო და არასამუშაო დღე, ეზოში იმ დროს, საბედნიეროდ, არავინ იმყოფებოდა.

დაზიანებას გადაურჩა ათეულობით ნაგვის ურნა, რომელიც სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ახლახან შეიძინა და ადმინისტრაციული შენობის ეზოში დროებით არის დასაწყობებული.

შემთხვევის ადგილზე იმავე დღეს მივიდა მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად. გამგებლის მოადგილემ, მამუკა თავაძემ ინფრასტრუქტურის სპეციალისტებთან თანდასწრებით დაათვალიერა დაზიანებული ობიექტი. შეხვდნენ მშენებელ ორგანიზაციას, რომელმაც შარშან ზუსტად ის მონაკვეთი გაარემონტა, რომელიც 23 აპრილის ძლიერი ქარის შედეგად დაზიანდა.

25 აპრილს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელოვანთა დარბაზში თითქმის მთელი დღის განმავლობაში ისე წვიმდა, როგორც გარეთ.

ძლიერმა ქარმა სამტრედიის მუნიციპალიტეტში საცხოვრებელი სახლების სახურავები ნაწილობრივ დაუზიანა ქალაქში თაბუკაშვილის ქუჩაზე ვიბლიანის, სოფელ ტოლებში გეგუჩაძისა და სოფელ ჭაგანში მანჯგალაძის ოჯახებს.

კომისია სწავლობს ქარისგან მიყენებულ ზარალს. რაც შეეხება ადმინისტრაციული შენობის დაზიანებულ ნაწილს, ვიდრე გამომწვევი მიზეზი დადგინდება, მშენებელმა კომპანიამ თავის თავზე აიღო, 26 აპრილიდან აღდგენითი სამუშაოები ჩაატაროს.

27 აპრილს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის გივი ჭიჭინაძის სახელზე წერილი მომზადდა, სადაც ამ დროისათვის არსებული ბოლო მონაცემებით სტიქიის მიერ მიყენებულ ზარალზეა საუბარი: ''სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2017 წლის 23 და 26 აპრილს განვითარებული ძლიერი ქარის შედეგად დაზიანდა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი და ინფრასტრუქტურული ობიექტი. მათ შორის მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობას, რომელსაც ძლიერმა ქარმა გადახადა 450 კვ.მ თუნუქის სახურავი, ზარალის ოდენობამ შეადგინა დაახლოებით 10 000 ლარი. ასევე დაზიანდა სოფელ გამოჩინებულსა და სოფელ გორმაღალში არსებული მგზავრთა მოსაცდელები, სულ 2 ერთეული, რომელსაც ქარმა გადახადა სახურავი, ზარალმა შეადგინა დაახლოებით 700 ლარი.

იანეთის ადმინისტრაციულ შენობას ქარმა დაუზიანა სახურავის ნაწილი. მის აღსადგენად საჭიროა, დაახლოებით, 500 ლარი. სოფელ გორმაღალში მცხოვრებ ლეილა შანიძის საცხოვრებელ სახლს ქარმა დაუზიანა სახურავი. ზარალმა, დაახლოებით, 1500 ლარი შეადგინა.

ტოლების ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზემო ნოღაში მცხოვრებ რომან გეგუჩაძის საცხოვრებელ სახლს მთლიანად დაეცა ხე და დააზიანა სახლი, ზარალმა შეადგინა, დაახლოებით, 5 ათასი ლარი. ქალაქ სამტრედიაში, თაბუკაშვილის ქ. № 35-ში მცხოვრებ გურამ ვიბლიანს ქარმა დაუზიანა საცხოვრებელი სახლის სახურავი, რომლის აღსადგენად საჭიროა, დაახლოებით, 1000 ლარი. სულ მუნიციპალიტეტს მიადგა 21, 2 ათასი ლარის ზარალი (ზარალი, შეიძლება, კიდევ გაიზარდოს).

მუნიციპალიტეტში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ მთავრობის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტროს წინაშე, რომ გამოყოფილი იქნას შესაბამისი თანხები სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დასაფინანსებლად''.



# დავასუფთავოთ კი არა, შევინარჩუნოთ დასუფთავებული

თეა ბაბუნაშვილი

***იმის შეხსენება, საკუთარი ეზო-სახლის, ჭიშკრის მიღმაც რომ შენი ქვეყანაა, სამშობლოა და ყველას მოქალაქეობრივი მოვალეობაა უდიერად არ მოეპყროს, არ დაანაგვიანოს ქუჩა და გარემო, 21-ე საუკუნეში სასაცილომდე მისული სატირალია. მაგრამ ფაქტი სახეზეა და კიდევ უფრო მაგრამ, თავად ქართველების თქმით ხშირად ვამბობთ ხოლმე ამ და კიდევ არაერთ ქართველურ ნაკლზე. საქმე საქმემდე რომ მივა, ურნაში ნამწვავის, ქაღალდის თუ სხვა ნებისმიერის ჩაგდება უსიტყვოდ გვიძნელდება. ხასიათია თუ უბრალოდ უპასუხისმგებლობა, ამაზე ფიქრის დრო არაა, უამისოდაც ძალიან დაბინძურებულ ქალაქსა თუ სოფელში. საყოფაცხოვრებო ნაგავს დამატებული ათასნაირი ქიმიური ნარჩენისა და გამონაბოლქვისგან დაბინძურებული მიწა და ჰაერი შველას ითხოვს და ეკოლოგიური კატასტროფით გვემუქრება. ევროპელობის გზაზე დამდგარი და ტურისტული ამპლუით თავმომწონე საქართველო, რკინიგზის, საავტომობილო ტრასების მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავებაზე ბეჯითად მუშაობს. ამგვარად, მხოლოდ პირის დაბანით თავმოწონება რომ არ გამოვიდეს და ეკოლოგიაც უყურადღებოდ არ დარჩეს, დასუფთავების აქციები სულ უფრო გახშირდა. საქმე საკანონმდებლო ცვლილებებამდეც მივიდა, კანონში დამბინძურებელთა "მოსახსენიებლად."***

ბოლო ერთი კვირაა, დედამიწის დღის აღსანიშნავად პროექტით ''დაასუფთავე საქართველო'', თავად გუბერნატორი და გუბერნიის სხვა პასუხისმგებელი პირები რაიონ-რაიონ დადიოდნენ უკანონო ნაგავსაყრელების დასასუფთავებლად. ორიოდ დღის წინ კი პროექტის ფარგლებში კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა. უფრო სწორად, ეს გახლდათ გასაუბრება, რომელიც სკაიპის მეშვეობით რაიონებისა და დედაქალაქის ერთობლივი ჩართვით წარიმართა. სხვადასხვა მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელ პირებს, საქართველოს მწვანეთა მოძრაობის, იუსტიციის სამინისტროსა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლებს შორის ინტერნეტ-შეხვედრას, სამტრედიის მუნიციპალიტეტი სამოქალაქო რეესტრის დიდი ჯიხაიშის ფილიალიდან ჩაერთო. მუნიციპალიტეტის გამგებლ ვალერი ფოცხვერიას, მოადგილე მამუკა თავაძესა და დიდი ჯიხაიშის მაჟორიტარ გოგი ლეჟავასთან ერთად მას საქართველოს მწვანეთა მოძრაობის კოორდინატორი იმერეთის რეგიონში თეიმურაზ კეპულაძე და კოორდინატორი თერჯოლასა და ტყიბულში, მინდია ქარქაშაძე ესწრებოდნენ.

შეხვედრას ''მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრების'' თანათავმჯდომარე ნინო ჩხობაძე უძღვებოდა. იყო გარემოს დაცვის მინისტრ გიგლა აგულაშვილთან და იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ ალექსანდრე ბარამიძესთან საუბრის შესაძლებლობა.

როგორც გაირკვა, პროექტის ''დავასუფთავოთ დედამიწა'' ფარგლებში 22 აპრილს დაწყებული დასუფთავების აქციები 29-მდე გაგრძელდება. 14 ათას ადამიანზე მეტმა მასში უკვე მიიღო მონაწილეობა. ხაზი გაესვა აქციაში კერძო ბიზნესის ჩართვის აუცილებლობას. ''კერძო ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობაა, ამგვარ აქტივობებს შემოუერთდნენ.'' _ აღნიშნა ნინო ჩხობაძემ. გარემოს დაცვის მინისტრმა, კი განაცხადა, ''მოდით გავხსნათ ფრჩხილები და ვთქვათ, რომ პრობლემის სისტემური მოგვარებაა საჭირო. ამაში მუნიციპალიტეტები უნდა ჩაერთონ, გეგმები უნდა შეიმუშავონ საამისოდ. და აქვე მადლობა არასამთავრობოებს, რამეთუ ისინი ეხმარებიან რაიონებსა და რეგიონებს სამოქმედო გეგმის შემუშავებაში'' მან დაააანონსა კონკურსი, რომელიც პირველად 2005 წელს გაიმართა და ამჯერადაც აიღებს სტარტს, თუმცა განახლებული ფორმატით: ''ეს გახლავთ კონკურსი, რომელსაც არ ეყოლება დამარცხებული. მას პირობითად ''სუფთა რეგიონი'' ჰქვია და გულისხმობს სუფთა რეგიონის, მუნიციპალიტეტის, ქალაქის, სოფლის, ქუჩის გამოვლენას. რადგან აქცენტი არა მხოლოდ სისუფთავეზე, არამედ გამწვანებასა და სილამაზეზეც გვაქვს, გამოვლინდება ყველაზე ლამაზი ეზოც. და ეს იმიტომ, რომ არა მხოლოდ მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებმა, უბრალო მოქალაქეებმაც იაქტიურონ. შედეგები შემოდგომაზე შეჯამდება. და ერთიც, რაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, უნდა მივიდეთ იმ ლოგიკურ შედეგამდე, რომ როგორც შვედეთში, ჩვენთანაც არა დასუფთავებისთვის, არამედ დასუფთავებულის შენარჩუნებისთვის ვიზრუნოთ. თუმცა, აქამდე ჩვენს ქვეყანას ჯერ დასუფთავება სჭირდება.''



პროექტის ''დაასუფთავე საქართველო'' ერთი ეტაპის პრეზენტაციისას რეგიონების მიხედვით საქართველოში უკანონო ნაგავსაყრელების და მათი დასუფთავების, აგრეთვე დანაგვიანების რაოდენობა გამოირკვა. იმერეთში 74 უკანონო ნაგავსაყრელია 77 ტონა ნაგვით. ყველაზე დანაგვიანებული რაიონები ჭიათურა და წყალტუბო გახლავთ, ყველაზე სუფთა კი, საჩხერე. ზოგადად, დასავლეთ საქართველო აღმოსავლეთთან შედარებით გაცილებით ნაკლებადაა დანაგვიანებული. 2015 წლის მონაცემებით კი, სამეგრელო-ზემო სვანეთი ყველაზე მოწესრიგებული რეგიონია ამ მხრივ.



ტელეკომპანია ''ზარის'' ჟურნალისტი ნინო ნანიტაშვილი პროექტში მედიის ჩართულობით დაინტერესდა. გიგლა აგულაშვილისგან პასუხად მიიღო, რომ ''მედიის ჩართულობა მნიშვნელოვანია, თუ ჟურნალისტები უშუალოდ დასუფთავებაში ვერ მიიღებენ მონაწილეობას, აქციების გაშუქებითაც დიდ სამსახურს გაუწევენ საერთო საქმეს.''

სამტრედიიდან ჩართვისას ''მწვანეთა მოძრაობის'' კოორდინატორმა იმერეთში, თემურ კეპულაძემ მადლობა გადაუხადა სამტრედიის რაიონის წარმომადგენლობას ინტერნეტ-შეხვედრაში ჩართვის ტექნიკური საშუალების მიცემისთვის და აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტი მოწინავეა როგორც ''დასწრებაში, ისე მოსწრებაშიც. როცა სხვადასხვა აქცია ტარდება იმერეთის რეგიონში.'' მისი წინადადება იყო, გამოცხადებული კონკურსის ''სუფთა რეგიონი'' ნომინაციებში ჩამატებულიყო ნომინაცია მოწესრიგებული ნაგავსაყრელი, ანუ პოლიგონი. მან განსაკუთრებული აქცენტი გარემოს დაცვის სამინისტროს პროექტში ჩართულობაზე იმ კუთხით გააკეთა, რომ ''წლების წინ გარემოს დაცვითი ორგანოები და სამსახურები, მხოლოდ სადამსჯელო მისიის გამტარებლებად იყვნენ მიჩნეულნი. რა თქმა უნდა, დასასჯელი უნდა დაისაჯოს, მაგრამ იმიჯი იმისა, რომ პირველ რიგში, სწორედ ეს სამსახურები არიან გარემოზე მზრუნველები, ამჯერად მაინც უნდა შეიქმნას. იმედია, წარმატებები გვექნება.''

თავის კომენტარში თემურ კეპულაძემ ხაზგასმით აღნიშნა: ''ვერ ვიტყვი, რომ კატასტროფაა დასუფთავების მხრივ, მაგრამ იდეალურ კი არა, კარგ მდგომარეობამდეც შორს ვართ. თუმცა, წინსვლა ამ კუთხით ნამდვილად გვაქვს. უპირველესად, საზოგადოების თვითშეგნება უნდა მივიყვანოთ იქამდე, რომ არ დაანაგვიანონ. ამ მხრივ წინგადადგმული ნაბიჯია, რომ სულ უფრო მეტი მოთხოვნილებაა ნაგვის ურნებზე არა მხოლოდ ქალაქში, არამედ სოფლებშიც. ამას რომ მოვესწარით, ეს უკვე შედეგია. გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა ტრასების მიმდებარედ. აგრეთვე ნარჩენების პოლიგონებზე, რითაც წინა წლებში ვერ დავიტრაბახებდით. საკანონმდებლო ბაზის დახმარებით, საჯარიმო სანქციებით, აქტიური პროპაგანდით, კომპლექსურად უნდა მივიყვანოთ საზოგადოება იქამდე, რომ არ დაანაგვიანონ გარემო.''

თემურ კეპულაძემ ვალერი ფოცხვერიასგან მადლობა დაიმსახურა. როგორც გამგებელმა აღნიშნა, იმიტომ, რომ: ''იგი ხშირი სტუმარია ჩვენი, როცა დასუფთავების აქციები ტარდება. თავისი კუთხით თანამშრომლობს ინფრასტრუქტურის სამსახურთან. რაც შეეხება გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსგან დაანონსებულ კონკურსს, აქამდეც აქტიურად ვიღებდით მონაწილეობას და შემდგომშიც ვიაქტიურებთ. სხვებისგან განსხვავებით, სამტრედია სატრანზიტო ქალაქია, საავტომობილო ტრასა, ავტობანი, რკინიგზა... ამიტომ დაბინძურების ხვედრითი წილი ჩვენთან უფრო მეტია. დასუფთავების სამსახურები ჩვენთან ორმაგად აქტიურობენ. დიდ ჯიხაიშში ვიმყოფებით და აქაური მოსახლეობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტში დასუფთავების მხრივ ეს ყველაზე მოწესრიგებული სოფელია. ამ სოფლის ახალგაზრდობა თითქმის ყველა აქციის ინიციატორია.

თქმა იმისა, რომ საქართველო ჰოლანდიის დონეზეა, სირცხვილია, მაგრამ ყველა დღეს თითო ნაბიჯი იდგმება ამისკენ.'' _ იმედის მომცემია თემურ კეპულაძის პროგნოზი.


## ძვირფასო სამტრედიელებო!

ჩვენს ქალაქში ფუძნდება საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ჩოხოსანთა საზოგადოების სამტრედიის სადროშო.

ყველა სამტრედიელს, ვისაც სურვილი აქვს გაწევრიანდეს აღნიშნულ საზოგადოებაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდით საორგანიზაციო კომიტეტის ტელეფონზე: 551 19 07 70;

მალხაზ იანტბელიძე
საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

# გვახსოვს 9 მაისი!

ისინი ბევრნი იყვნენ.

უფრო ბევრნი ვიდრე შარშან, იმის წინ...

1941 წლის ივნისში 700 000 მებრძოლი წავიდა დიდ სამამულო ომში, 5 000-ზე მეტი იყო მათ შორის სამტრედიელი.

300 000-ზე მეტი გმირის სიკვდილით დაეცა შორს სამშობლოსაგან, 2700-ზე მეტი სამტრედიელი იყო დაღუპულთა შორის.

ეს ერთობ მშრალი ციფრებიც ნათლად მეტყველებენ ომის მასშტაბებზე, მის საშინელებაზე.

ვალმოხდილნი, მკერდდამშვენებულები დაუბრუნდნენ საკუთარ კერას **მიხეილ რუხაძე, ოთარ ნაფეტვარიძე, სამსონ კაშმაძე, ლავრენტი თვალავაძე, ალექსანდრე ქუთათელაძე, ალექსანდრე გეგუჩაძე, ოთარ გეფერიძე, ნორა გიორგაძე, ვერა თევზაძე, ლოლა კრავეიშვილი, ტარას უჯმაჯურიძე, შოთა ხუჭუა, აკაკი ჯამბურია, მიხეილ რამინაშვილი, აკაკი ხუჭუა, შალვა კვანტალიანი, ვალიკო, მელიტონ დევიძეები, ევგენი ჯიქიძე, ევტიხი ლეჟავა, დავით კაჭახიძე, ნიკოლოზ გელაზონია, ბიქტორ თადუმაძე, შოთა ტაბიძე...** დიდი ხანია ეს ადამიანები, ათობით ვეტერანი უკვე აღარაა ამქვეყნად.



არასოდეს დაგვავიწყდება მათი აღფრთოვანებული, გაცისკროვნებული სახეები ყოველი წლის 9 მაისს, გვახსოვს, როგორ ულოცავდნენ პირსისხლიანი ფაშიზმის დამხობისა და გამარჯვების დღეს ერთმანეთს შინმოუსვლელი ჯარისკაცის დედის ძეგლთან შეკრებილი, ომგადახდილი, ჭაღარა ვეტერანები.

გვახსოვს, როგორ განადიდებდნენ იოსებ ბესარიონის ძე სტალინს, რომლის მხედართმთავრულმა ნიჭმა, სტრატეგიამ და გამჭრიახობამ მოუტანა გამარჯვება მილიონობით ადამიანს და დაასამარა ფაშიზმი.

ისიც გვახსოვს, რომ ერთ ხანს ლამის მოღალატეობა რომ დასწამეს ვეტერანებს, აქაოდა, ვის ომში იბრძოდით, რუსები ხომ ოკუპანტები არიანო...

მერე ყველაფერი დალაგდა და...

საოცრად შეთხელდა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა რიგები, ცოტანი შემორჩნენ სამტრედიაში, ღვაწლმოსილები, ოჯახისა და სამშობლოს წინაშე უხომოდ ვალმოხდილები.

წელთა სიმრავლე და მშვიდი ხანდაზმულობის წლები გვისურვებია მათთვის.

9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების 72-ე წლისთავს გილოცავთ ძვირფასო ვეტერანებო!

***ლევან გაბეჩავა***




## 6 მაისს გიორგობაა, გილოცავთ!

კალენდრის მიხედვით ქრისტიანული წმინდანის გიორგი კაპადოკიელის სახელობის დღეობა წელიწადში ორჯერ, 23 აპრილსა და 10 ნოემბერს აღინიშნება (ძველი სტილით), ახალი სტილით კი, შესაბამისად, 6 მაისსა და 23 ნოემბერს.

წმინდანისადმი ქართველების განსაკუთრებული პატივისცემის მაუწყებელია ის გარემოება, თაობიდან თაობაზე გადმოცემებმა რომ შემოგვინახა – საქართველოში არსებულა წმინდა გიორგის სახელობის 363 ტაძარი და სამლოცველო.

დიდებულსა დიდ მოწამეს და საკვირველმოქმედ გიორგის იხსენებს ეკლესია 6 მაისს.

მეოხ გვეყავ წმინდანო!

***ლევან გაბეჩავა***

# როცა დუმილი არ იყო ოქრო

**ლევან გაბეჩავა**



წლები გავიდა ჩერნობილის ტრაგედიიდან.

საბჭოთა რეჟიმმა მზაკვრულად, გამიზნულად დაუმალა ხალხს მოსალოდნელი უბედურების სიმძიმე და...

მოსახდენი მოხდა.

ასობით ადამიანი დაიღუპა.

კიდევ უფრო ბევრმა სხეულის სხვადასხვა დაზიანება მიიღო, ბევრმაც ჯანმრთელობა დაჰკარგა.

26 აპრილს ყოველწლიურად აღნიშნავენ ტრაგედიის წლისთავს და ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებს, ანუ მათ, ვისაც ჩერნობილის მონაწილეებს უწოდებენ, ასაჩუქრებენ კიდეც.

26 აპრილს საკრებულოს სხდომათა დარბაზში სამტრედიელი ჩერნობილელები შეიკრიბნენ.

მუნიციპალიტეტში 45 ადამიანია ჩერნობილის ტრაგედიის მონაწილე. ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, თითოეულს ერთჯერადად 200 ლარი გადაეცა. – განუცხადა “სამტრედიის მაცნეს” მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ლევან ახობაძემ.

შეკრებილთ თბილად მიესალმა მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია. მისი წინადადებით წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი ტრაგედიისას და შემდგომ დაღუპულთა ხსოვნას, გამგებელმა ახლხან გარდაცვლილი, ღანირის თემში მისი წარმომადგენელი თომა გაბელაიაც გაიხსენა, რომელიც ჩერნობილის მონაწილე ყოფილა

31 წლის წინანდელი 26 აპრილის მოვლენებზე ამომწურავად ისაუბრა გამგებლის მოადგილემ ლიზა კრავეიშვილმა.

ჩერნობილელთა სახელით ხელისუფლებას მადლობა მოახსენა და რიგ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება კონსტანტინე იმნაძემ.

ანსამბლმა “ათინათმა” და მოსწავლეახალგაზრდობის სახლის ფოლკლორულმა ანსამბლებმა მადონა კოხრეიძისა და მერი ტკვაცირიას ხელმძღვანელობით მხატვრულად გაალამაზეს საღამო.

დაბოლოს, საბჭოთა მთავრობის დუმილი სისხლისა და ჯანმრთელობის ფასად დაუჯდა ადამიანებს.

მსგავსი რამ არასოდეს არ უნდა განმეორდეს.

მაშინ არ იყო დუმილი ოქრო.

# ძველი ლამპიონები დიოდური განათების ლამპიონებით იცვლება

**ნათია ნაცვლიშვილი**

სამტრედიის რეალობაში ყველაზე მეტი ნათურა თამაზ იმედაძის პერიოდში აინთოო, მიიჩნეოდა ახლო წარსულში. დღეს კი იმედაძისდროინდელ ვითარებას 4-ჯერ გადავაჭარბეთო. – გვეუბნება მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების გარე განათების ქსელების მომსახურების განყოფილების უფროსი, ალექსანდრე კლარჯეიშვილი და შემდეგ სტატისტიკას წარმოგვიდგენს: “6100 ნათურა, 187 კილომეტრი სადენი და 83 მართვის პულტი. განათებულია სოფლები: მელაური, ნაბაკევი, ხუნჯულაური, დიდი ჯიხაიში, დაბა კულაში...”

ბატონ ალექსანდრეს კომენტარი სამუშაო პროცესში ვთხოვეთ, როცა ის თავისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად რესპუბლიკის ქუჩაზე ძველი ლამპიონების ახლით შეცვლას აწარმოებდა:

“ჩვენს მუნიციპალიტეტში შემოვიტანეთ თანამედროვე, ლედ სისტემის დიოდური განათების ლამპიონები, რომლებიც მწყობრიდან იშვიათად გამოდის, ის ძველთან შედარებით სამჯერ ეკონომიურია, არსებული ნატის (ყვითელი) ნათების ლამპიონის მოვლა-პატრონობა ძვირი ჯდება. ქუთაისის-სამტრედიის გზაგამტარი ხიდიდან მოყოლებული, შემოვედით ჭავჭავაძის ქუჩაზე, ვაგზლის მოედანთან და თამარ მეფის ქუჩასა და გამსახურდიას მოედნამდე, ყველა ლამპიონი გამოიცვალა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების, გამგებლის, ვალერიანე ფოცხვერიასა და გამგებლის პირველი მოადგილის, დავით ბახტაძის მიერ გამოინახა თანხა, ჩატარდა ტენდერი და შემოტანილ იქნა 935 ცალი დიოდური სანათი, რაც მოიცავს ქალაქის ცენტრს და ქუთაისი-სამტრედიის ტრასას. ძვირადღირებული 400 ვატიანი იცვლება 100 ვატიანი დიოდური სანათებით, რაც დიდ ეფექტს მოგვცემს. თუ იხარჯებოდა წელიწადში 300 000 ლარი ელექტროენერგიის თანხა მხოლოდ გარე განათებისათვის, ჩვენი ვარაუდით, გაკეთდება 100 000 ლარის ეკონომია”. ექსპერიმენტმა, ალექსანდრე კლარჯეიშვილის თქმით, უკვე გაამართლა. პირველად 10 ცალი დიოდური სანათი შემოიტანეს სადგურის ტერიტორიაზე, ე. წ. ნაძვის ხის ადგილას. 2 წელი და 2 თვეა, რაც ისინი გამართულად მუშაობს და შეკეთება არ დასჭირვებია. “2 წელი რომ შეკეთება არ დასჭირდება სანათს, ეს ჩვენთვის უდიდესი შეღავათია”. – ამბობს ბატონი ალექსანდრე და დასძენს, რომ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ასევე შემოიტანა 2500 ცალი ეკონომიური, დიოდური ნათურა. ამ ნათურების შეცვლის პროცესი, ძირითადად, საღამოს საათებში მიმდინარეობს. “ენერგო-პრო ჯორჯიასთან”, ურთიერთობა თუ არ გაირკვა, შეუძლებელია, ძაბვის ვარდნა ჩვენთვის დამანგრეველია”. – აღნიშნა ჩვენმა რესპონდენტმა. ის გარე განათების სამსახურის თერთმეტივე თანამშრომლის მიმართ საქებარ სიტყვებს არ იშურებს, მათ პროფესიონალებად და საქმის მცოდნეებად მიიჩნევს, რომლებიც უარს არანაირი სირთულის სამუშაოზე არ ამბობენ. ესენი არიან: დათო გაბუნია, პაატა გოგიშვილი, ალბერტ კანდელაკი, ვაჟა ხარებავა, მამუკა ხუჭუა, გიგა ტალაბაძე, ამირან ხუჭუა, ოთარ შენგელია.



# მოგილოცოთ? გილოცავთ!

ლევან გაბეჩავა




კბილის ამოღების დროს გამოწვეული ტკივილი სტომატოლოგის ბრალია?

ნემსს რომ გიჩხვლეტენ და ტკივილს იგრძნობ, მედდაა დამნაშავე?

ჟურნალისტი რომ ნაკლზე დაწერს ობიექტურად, ვინმეს თუ გულზე მოხვდა ნათქვამი სიმართლე, ჟურნალისტის ბრალია?

თუ ვინმე მუშაობს და არსებობს (საკითხავია, როგორ?) დაემადლება დასაქმებული რომაა კაცს?

...

სამსახურიდან პენსიონერების გაშვებას რომ **გვა-ძა-ლებ-დნენ** და თავად ამ პენსიონერებს შეხვედრისას გულში იხუტებდნენ, გვიხარია, კვლავ რომ მუშაობთო, იმ დროს მოვესწარი(თ).

74 წლის კაცი რომ მოკვდეს, არავის გაუკვირდება და 74 წლის გაზეთის **და-ხურ-ვა** რა საკვირველია, მარადიული არაფერიაო, რომ გვარწმუნებდნენ, ესეც კარგად გვახსოვს.

წლების წინ, ხარება დღეს, გაზეთის ლიკვიდაციისა და სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე შეტყობინება რომ ჩაგვაბარეს რედაქციის თანამშრომლებს გვახსოვს კარგად.

მერე ვითარება შეიცვალა, გაზეთთან ერთად ჩვენც გადავრჩით და ის ხელმძღვანელი, ვინც ჩვენი გაშვების ‘‘ბრძნულ’’ გადაწყვეტილებას აწერდა ხელს, ნაყოფიერი მუშაობისათვის გულითად მადლობას რომ გვიხდიდა, ამას რა დაგვავიწყებს.

ჩვენ ზემდგომნი ვართ, თქვენ კი... ბოლოს და ბოლოს, ჩვენ **გა-ფი-ნან-სებთ** და ჭკუითო, რომ მიგვანიშნებდნენ, ეს დროც იყო, სინამდვილეში ჩვენც და მათაც ხალხი რომ აფინანსებდათ და მათგან არაფერი დაგვემადლებოდა, არ ან ვერ რომ ხვდებოდნენ, იყო ასეთი დროც.

კარგად ეტყობა მათაც და ჟურნალისტებსაც, ვინ როგორ ემსახურა და ვინ როგორ იმსახურა სამტრედია...

დღეს საქართველოში ჟურნალისტებს არავინ არაფერს გვეუბნება, გვიშლის.

რომელი ჭკვიანი კაცი დაიწყებს მტკიცებას დედა და სამშობლო მიყვარსო, ისედაც ხომ უნდა უყვარდეს კაცს ორივე, დედაცა და სამშობლოც, ამ აზრს ავითარებს ერთგან დიდი ერისკაცი ნიკო ნიკოლაძე.

ზედმეტია ჩვენი აზრით ამდენი საუბარი, ამდენჯერ ხაზგასმა რომ საქართველოში პრესა თავისუფალია.

ხალხი და რაღა თქმა უნდა, ჩვენ, ჟურნალისტები ჩინებულად ვხედავთ, ვამჩნევთ, ყოველივეს...

პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღეა 3 მაისი.

გილოცავთ!

**P. S.**

23 აპრილს წიგნისა და საავტორო უფლებათა საერთაშორისო დღეს დაიწერა ეს წერილი.

# საჯარო ლექციითა და წიგნებით დასაჩუქრდნენ

ნათია ნაცვლიშვილი

23 აპრილი, წიგნის საერთაშორისო დღე, ტრადიციულად აღინიშნა ჩვენს მუნიციპალიტეტში. გამომცემლობის ‘‘წიგნები ბათუმში’’ ხელმძღვანელმა, მთარგმნელმა და ინტელექტკლუბის ‘‘რა? სად? როდის?’’ სახემ ირაკლი ბაკურიძემ წაიკითხა საჯარო ლექცია თანამედროვე ლიტერატურის შესახებ. გასულ წელს ანალოგიური ლექციით გიორგი კეკელიძე წარსდგა.



მეორე ეტაპი კი ინტერაქტიული ხასიათისა იყო, კითხვებზე სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში დარბაზში მყოფთ წიგნები გადაეცემოდათ. ახალგაზრდები, ისევე როგორც წინა წლებში, ამჯერადაც აქტიურობდნენ. სულ 80 წიგნი ‘‘გათამაშდა’’. შეკითხვები წლეულს სამტრედიის ინტელექტუალთა გუნდის ‘‘ინტერსტელარის’’ ერთ-ერთმა სახემ, ლაშა ორმოცაძემ წაიკითხა, რომელმაც სულ ახლახან გამგებლის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების უფროსის პოსტი ჩაიბარა. კითხვების ავტორები კი არიან ინტელექტუალთა გუნდის წევრი, მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წამყვანი სპეციალისტი ლაშა ლორია და ინტელექტკლუბის ახალი თაობის წარმომადგენლები, საბა კაცაძე და მამუკა კიღურაძე.

წიგნის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას შეუერთდა მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია, რომელიც მიესალმა შეკრებილთ და წარმატებები უსურვა. მან ასევე მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს საინტერესო ღონისძიების მოწყობისათვის.

# ლაჭყარი, ლაჭყარი, ანუ რატომ არ (ვერ) ვიზრდებით?

ლევან გაბეჩავა

საუკუნეში ოთხ თაობას ანგარიშობენ...

ეს ისე, სხვათა შორის...

26 წელი გავიდა საქართველოს უზენაესი საბჭოს იმ საგანგებო და ისტორიული სესიიდან, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა რომ გამოცხადდა 1918 წლის 26 მაისის პოლიტიკური აქტის საფუძველზე.



თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ 16 წლის ასაკში გამეფებულ დავით აღმაშენებელს უკვე 26 წლის ასაკში რამდენიმე ომი ძლევამოსილად (და არა უბრალოდ) ჰქონდა მოგებული და ხალხის დიდი ნდობაც ჰქონდა მოპოვებული...

თუ კიდევ მრავალ თუ-ს გავითვალისწინებთ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რატომ დავასათაურეთ ეს ციცქნა წერილი ამგვარად.

26 წელია, რაც ჩვენი ქვეყანა მრავალპარტიული (დემოკრატიული) წესით ირჩევს პარლამენტს.

ირჩევს და...

...

თითქოს ვიღაცამ მწარედ დაგვწყევლა (პოლიტიკურად) თქვენი არ იცოდეთ, სხვისი არ გესწავლოთო, ისე ვიქცევით, ვლანძღავთ, ვთათხავთ, გულს ვტკენთ, ცინიზმით გაჟღენთილი სიტყვებით, ირონიული ჟესტებით მივმართავთ ერთმანეთს.

არა, მე და თქვენ არა, პატივცემულო მკითხველო, პარლამენტარებზე მოგახსენებთ, ჩვენს მიერ რჩეულ ადამიანებზე, მათ ქცევაზე.

ახალს რას გეტყვით?

ვერაფერს...

უბრალოდ ხმამაღლა ვფიქრობ, რომ სამარცხვინოა, ეროვნული სირცხვილია, როცა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში აყალმაყალი მუშტი-კრივით მთავრდება.

სადამდე?

როდემდე?

მე მრცხვენია,

თქვენ?

სტალინი რომ ვახსენო, მიუხედავად იმისა, რომ სტალინის გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ დავიბადე, სტალინელობას დამწამებენ...

ნეტავ, აღმაშენებელი გააცოცხლა...

ჩვენ ევროპა, მსოფლიო გვიყურებს!





# ახალი წიგნების პრეზენტაცია მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში

ნათია ნაცვლიშვილი

***საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის ერთობლივი ღონისძიება ორი ახალი წიგნის განხილვას მიეძღვნა. "ფლორენცი" ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მრავალმხრივი ნიჭით შემკული პროფესორის, ალექსანდრე ლორიას რომანია, ხოლო პოეტური კრებული "შორეული ახლობელი" ჩვენს თანაქალაქელ ქალბატონს, ამჟამად ემიგრაციაში მყოფ მარინა ხუჭუას ეკუთვნის.***

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას მწერალ პარმენ ლორიას ვაჟიშვილი ალექსადნრე ლორია მეუღლესთან, ინგა ფილაურთან ერთად სტუმრობდა. ისინი საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის დამფუძნებლები და წევრები არიან. სწორედ ქალბატონმა ინგამ, ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში, სოციალური ქსელის საშუალებით აღმოაჩინა მარინა ხუჭუა. მანვე და მისმა მეუღლემ შეუწყვეს ხელი ამ ემიგრანტი ქალბატონის შემოქმედების წიგნად ქცევას. მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში გამართულ ღონისძიებას, მიუხედავად ხანგრძლივობისა, დამსწრე არ აკლდა. საბიბლიოთეკო ღონისძიებათა უცვლელმა მომხსენებელმა, ლევან გაბეჩავამ პროფესორ ალექსანდრე ლორიას ღვაწლზე ისაუბრა და აღნიშნა: "მადლობა ჩვენს სტუმრებს, მადლობა წარმომადგენლობით და ინტელექტუალურ დარბაზს. ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, მრავალმხრივი ნიჭით შემკულ პროფესორ ალექსანდრე ლორიას კავშირი არასოდეს გაუწყვეტია მშობლიურ სამტრედიასთან. ის გახლავთ 20 წიგნის და 120-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი, განსაკუთრებით უსვამენ ხაზს მისი კოლეგები მის სისადავესა და თავმდაბლობას. ერთ-ერთი წიგნის ბოლო ნაწილში წერს: მეტი უნდა გამეკეთებინაო. ჩვენს ბობოქარ დროში, შურითა და ბოღმით აღსავსე საზოგადოებაში რაოდენ დიდი უნდა იყო, რომ კოლეგებმა საბიბლიოთეკო საქმის პატრიარქი გიწოდონ. "ფლორენცი" ისეთი წიგნია, რომლის ავტორს ქვეყნის მაჯისცემაზე აქვს ხელი დადებული, ალექსანდრე ლორიას რედაქტორობით გამომავალი ჟურნალის აქტიური მკითხველი გახლავართ და მადლობა ამ საინტერესო გამოცემისათვის".

"ამ დღეებში თქვენი წიგნები ჩვენი მკითხველების ხელიდან ხელში გადადიან, თქვენს შეგირდებად ბოლომდე ვრჩებით, თქვენ ბრძანდებით ჩვენი სტუდენტობის მეგობარი და პრაქტიკის ხელმძღვანელი, ბიბლიოთეკარები, ყველანი თქვენს წიგნებზე აღვიზარდეთ, ჩვენი პატრიარქი ბრძანდებით". _ მიმართა ალექსანდრე ლორიას ღვაწლმოსილმა მსახიობმა და მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მზია ჩიხლაძემ და წაიკითხა ნაწყვეტი ალექსანდრე ლორიას წიგნიდან "ფლორენცი".

ბორის ფოცხვერაშვილმა აღნიშნა:

"1940 წლიდან, ბათუმის ბაგა-ბაღიდან იწყება ჩვენი ურთიერთობა, მეორე მსოფლიო ომის გამო ბათუმიდან იანეთში გადმოვსახლდით, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობის დროს მამათქვენის სახელი მიენიჭა გორმაღლის სკოლას და აი, 48 წლიანი დაცილების შემდეგ კვლავ შევხვდით ერთმანეთს. მინდა, 1955 წელი გავიხსენო, როცა ბათუმში, პედაგოგიურ ინსტიტუტში პარმენ ლორიას ერთ-ერთი წიგნის განხილვა მე დამევალა... წიგნში "ფლორენცი" ერთ-ერთი ქართული ოჯახის ყოფაცხოვრება აღწერილი, ამ წიგნში პერსონაჟ პაპუნაში მამათქვენი შევიცანი, მისი დამსახურება ხალხის წინაშე ცოტა ძუნწად გაქვთ აღწერილი, რასაც თქვენს თავმდაბლობას მივაწერ უთუოდ..."



"მიხარია, რომ ალექსანდრე ლორიასა და მარინა ხუჭუას წიგნების პრეზენტაცია ხდება ამ ინტელექტუალურ დარბაზში". _ ასე დაიწყო გამოსვლა ქალბატონმა ნათელა გელეიშვილმა და აღნიშნა: _ "გესიამოვნებათ აქ შემოსვლა, რადგან უამრავ ახალგაზრდას ნახავთ, ამაში კი დიდია ბიბლიოთეკის თანამშრომლების, ქალბატონების წვლილი, რომლებიც გამოირჩევიან კვალიფიკაციითა და საქმისადმი ერთგულებით. მივესალმები ადამიანს, რომელიც თავმდაბლობით აცხადებს, რომ მეტის გაკეთება შეეძლო, არ ვიცი, რაა იმაზე მეტი, იდგე წიგნის სამსახურში. პარმენ ლორიამ აჭარის ცხოვრებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა, ვიყავი გორმაღლის დეპუტატი, ჩემი პირველი ნაბიჯი იყო ის, რომ თქვენს ფუძეზე მუზეუმი დაგვეარსებინა, მაგრამ რადგან იქ ცხოვრობდნენ, საკითხის მოგვარება შეუძლებელი იყო. მადლობა, რომ თქვენს წიგნში "ფლორენცი" პარმენ ლორია და სოფელი გორმაღალი გააცოცხლეთ".



მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი, ლამარა დუნდუა:

"დღევანდელი ჩვენი ერთობლივი ღონისძიება წლევანდელი საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში იმართება, მადლობა ჩვენს სტუმრებს, ჩვენი მუნიციპალიტეტი რომ აარჩიეს და გვეწვივნენ, ჩვენი ბიბლიოთეკა ყოველთვის ეცდება, იდგეს მოწოდების სიმაღლეზე". ლამარა დუნდუამ მწერალს ბიბლოთეკის სახელით სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის მთავარი ბიბლიოთეკარი, რუსუდან კახიანი: "უდიდესი პატივია ჩვენთვის თქვენი სტუმრობა, მინდა გაგანდოთ ჩემი მოკრძალებული გულისტკივილი იმის გამო, რომ ჩვენი ფაკულტეტი აღარ არსებობს, დადგება დრო, ჩვენს ბიბლიოთეკებს პროფესიონალი ბიბლიოთეკარი არ ეყოლება, არადა, ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრაზე მოღვაწეობდნენ უნიკალური ადამიანები, ჩვენი ლექტორები, შორს წაგვიყვანს ბიბლიოთეკათმცოდნეობის კორიფეების ჩამოთვლა, საქართველოში არ არის ბიბლიოთეკა, თქვენი აღზრდილი ბიბლიოთეკარები რომ არ მოღვაწეობდნენ ბატონო ალექსანდრე, განუზომელია თქვენი ღვაწლი საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაში, განსაკუთრებულია თქვენი წვლილი ჟურნალ "საქართველოს ბიბლიოთეკარის" დაარსებისა და გამოცემის საქმეში. თქვენი "ფლორენცი" ერთი ამოსუნთქვით იკითხება. კუთხური სიტყვები, რომლებიც ნაწარმოებში გვხვდება, ამოვიწერე, ლექსიკონებში რომ ვეძიო მათი მნიშვნელობა, ეს მარგალიტები განსაკუთრებულ ელფერს სძენს ტექსტს".

საინტერესო ხედვით წარსდგა დარბაზის წინაშე მე-11 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ნინო ტორონჯაძე, რომელმაც "ფლორენცი" ფილოსოფიურ კონტექსტში მიმოიხილა.

ალექსანდრე ლორიამ გასული საუკუნის 50-იანი წლები გაიხსენა, როცა პარმენ ლორიას ავტობიოგრაფიული რომანი "დაზგიდან დაზგამდე" გამოიცა. ამ წიგნში ბევრმა გორმაღლელმა თავისი თავი იცნო თურმე, ქალბატონები გარს შემოხვევიან მწერალს, მწერლის ვაჟისთვის ერთ-ერთ მათგანს, ფლორენცის უთქვამს: მამაშენს ესა და ეს ქალი რომ ჰყავს მოხსენებული, მე იმაზე ნაკლები კი არა ვარ, რომ არ მომიხსენიაო... ფლორენცი, მე დავწერ თქვენზეო! _ უპასუხნია ბატონ ალექსანდრეს და ახლა ეს ისტორია აუდიტორიას წლების მერე მოუყვა. მართალია, რომანში ბევრია მხატვრული გამონაგონიც და ანაქრონიზმიც, მაგრამ უმეტესი ჩემი ბავშვობის შთაბეჭდილებებია". _ ბრძანა მწერალმა და დრო მარინა ხუჭუას პოეზიაზე საუბარს დაუთმო. "შესანიშნავი პოეტი, ჩვენი აღმოჩენა" _ ასე დაახასიათა მან ჩვენი თანაქალაქელი, დღეს თურქეთში, ემიგრაციაში მყოფი ქალბატონი. სამტრედიელი პოეტის, ნოდარ ადეიშვილის სიტყვებით

"მე თავს ვხრი თქვენს წინ ბალახზე დაბლა" _ მიმართა ლევან გაბეჩავამ პოეტ ქალბატონს, რომლის ლექსების ციტირებამ ბევრს მოჰგვარა დარბაზში ცრემლი. სამშობლოს, 3 შვილს, 6 შვილიშვილსა და 2 შვილთაშვილს მოწყვეტილი დედა და ბებია ტკივილს ტკივილზე რითმაში აქსოვს და აგერ უკვე სქელტანიან პოეტურ კრებულად შეკრა. ლექსი ხომ ლადო ასათიანისა არ იყოს, "შველის ყოველგვარ ტკივილს და ლექსი თვითონ ტკივილი არის". ამადაც არ გვიკვირს, ფერსა და სუნთქვას როგორ ანიჭებს ემიგრანტის ცრემლებით დალბობილ, სტამბოლის ცის ქვეშ შობილ ლექსებს ქართული სატკივარი. "უცხო მიწაზე ფესვდაჭრილნი ხეებად ვდგევართ" _ ასე სევდიანობს მისი სტრიქონი. ის პროფესიით ეკონომისტია, 20 წელი კულაშის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში პედაგოგად, ძაფსახვევ-საგრეხ ფაბრიკაში კი ეკონომისტად უმუშავია.

ლექსებს ბავშვობიდან წერდა. დარბაზში მისი თანაკურსელებიც ისხდნენ. ყოფილი პედაგოგის ამპლუაში მიესალმა პოეტ ქალბატონს წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელი, ჯონი ნადირაძე და აღნიშნა: "ყველაფერი, რაც დღეს იწერება, უკვე უამრავჯერ ნაფიქრია, დაწერილია, მაგრამ ხელოვანის საქმე ისაა, თავისებურად კიდევ ერთხელ მოგვითხროს და ასე ლამაზად კვლავ ჩაგახედოს ნაწერში. ერთმანეთი გიყვარდეთ და საქმე აკეთეთ", _ ამბობს საქართველოს პატრიარქი. სიყვარული აშლებინებს ჩვენს ქვეყანას, ჩვენი ქვეყანა გაბრწყინდება, ამის დასტურია დღევანდელი დღე."

ინგა ფილაურმა ლამაზი დახვედრისა და საინტერესო პრეზენტაციისათვის მადლობა გადაუხადა მასპინძელ ბიბლიოთეკას და საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტის, რუსუდან ასათიანის მოკითხვა გადასცა მათ.

სიამაყით აღსავსე მიესალმა სტუმრებს პარმენ ლორიას მშობლიური სოფლის ქვაყუდეს მკვიდრი და გორმაღლის სკოლის დირექტორი, გიორგი შანიძე. მისი თქმით, რამდენიმე წლის წინათ ჩამორთმეული სახელის აღდგენაზე მუშაობენ მუნიციპალიტეტის გამგებელთან და განათლების სამინისტროსთან ერთად, რათა კვლავ მოხდეს მწერალ პარმენ ლორიას სახელის სკოლისათვის მინიჭება.

ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი ბექა ფოცხვერია ასევე მიესალმა წიგნების ავტორებს და წარმატებები უსურვა მათ, მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას კი მადლობა გადაუხადა საინტერესო ღონისძიების გამართვის გამო. მარინა ხუჭუას ყოფილი პედაგოგი, ვერუშა ვაშაკიძე დიდი სიყვარულით მიესალმა და წარმატებები უსურვა.

საპატიო სტუმრებს კეთილი სურვილები უძღვნა ღვაწლმოსილმა პედაგოგმა შუქრი ურუშაძემ.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ლიზა კრავეიშვილი:

"მნიშვნელოვანი, ამაღლებული დღეა, სამტრედია მისი წიაღიდან გასულ შვილებს ყოველთვის სიყვარულით ხვდება. ბიბლიოთეკა, ეს ის ცოცხალი ორგანიზმია, სადაც არც ერთ შესანიშნავ თარიღს გვერდს არ უვლიან. მადლობა, რომ მთელი დღის განმავლობაში აქ არ წყდება გამომსვლელთა ნაკადი, კარგია, ახალი წიგნები რომ შემოგვემატა, ორი დიდებული წიგნის პრეზენტაცია დღეს შედგა, მუნიციპალიტეტის გამგებლის, ბატონი ვალერინეს სამუშაო მაგიდაზე დევს ორივე ეს წიგნი, ობიექტური მიზეზების გამო გამგებელი დღეს აქ ვერ მოვიდა, მადლობა ამ დღის სტუმრებს და ორგანიზატორებს".

ქალთა ანსამბლმა "ათინათი" ქართული ჰანგებით შეამკო საღამო, პოეტ მარინა ხუჭუას ლექსზე პირველად აჟღერდა შესანიშნავი სიმღერა სტუდენტ იური სტურუას მიერ. თიკო მიქელაძემ, ვახტანგ ნიკოლეიშვილმა, ნინო აბრამიამ და მონიკა ბოკუჩავამ წაიკითხეს პოეტის ლექსები. განსაკუთრებული ემოცია და ტაში ხვდა წილად უფროსი თაობის მიერ წაკითხულ პოეტის ლექსებს.

სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის დირექტორმა, რეჟისორმა ვეფხია ნადირაძემ, რეჟისორმა როლანდ გოგოშვილმა და ლორიტა ჯორჯიკიამ და მსახიობმა გია სტურუამ პოეტის რჩეული ლექსები წაიკითხეს.

## ის უკეთ წერს...

უკვე სიახლე აღარაა, საქართველოში ყოველწლიურად 14 აპრილს ზეიმითა და მრავალფეროვანი ღონისძიებებით რომ აღინიშნება დედაენის დღე.

ასე იყო წელსაც.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დედაენის დღეს მიუძღვნა ლიტერატურული კონკურსი "ვინ უკეთ წერს". კონკურსში საკუთარი ნაზრევით წარსდგა ჩვენი რაიონის მკვიდრი, ამავე უნივერსიტეტის მესამე კურსის წარჩინებული სტუდენტი, არაერთ ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებული, უკვე შემდგარი ახალგაზრდა პოეტი ბექა ფოცხვერია.

კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით კონკურსში ბექამ პირველი ადგილი დაიკავა და შესაბამისი ჯილდოც მას ხვდა წილად.

კიდევ ერთ წარმატებასა და ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს ვულოცავთ ბექას, გულწრფელად გვახარებს მისი წინსვლა და ის, რომ...

ის უკეთ წერს, ვიდრე სხვა.

ლევან გაბეჩავა





სიგელით

(I ადგილი)

# ასე უყვარდათ და ეყვარებათ საქართველოში

ლევან გაბეჩავა

არავის უკვირს, პირიქით, განებივრებულები ვართ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში (დირექტორი ტატა გოგუაძე) ჩატარებული, გონივრულად მოფიქრებული შემეცნებით-გასართობი, ინტელექტუალური და მხატვრული ღონისძიებებით.

"ერთად გავატაროთ რამდენიმე საათი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ლიტერატურულ სალონში" გვაუწყებდა მოკრძალებული ბარათი მოკრძალებით რომ მოიტანეს ჩვენთან, რედაქციაში.

ლამაზად ილვენთებოდნენ სანთლები, საღამოს ორგანიზატორებს დარბაზი ისე მოერთოთ, თავი უმალ წინა საუკუნეების სალონური საღამოების მონაწილე გეგონებოდათ.



მარადიულ თემას _ სიყვარულს ახალგაზრდებმა თითქმის დასაბამიდან, დიახ, პირველი ევროპელების ზეზვასა და მზიას დროიდან დღემდე შეასხეს ხოტბა. გაიხსენეს, თუმცა, ვისი სიყვარულის ისტორია არ გაიხსენეს, ვისთვის ტკბილი, ვისთვის მწარე, ვისთვის...

გაიხსენეს სიყვარულის ისტორიები, ლეგენდებად რომ იქცნენ და თაობიდან თაობას ლამაზ ამბად რომ შემორჩა. იდეა ღონისძიების ჩატარებისა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ორგანიზატორს, არაერთი კარგი ღონისძიების ავტორს, პედაგოგ ნატა ჯიქიას ეკუთვნის, მერე როგორც აქ ხდება ხოლმე, ორგანიზატორს ყველანი მხარში ამოუდგნენ და ლამაზი საღამოც ლამაზად, შთამბეჭდავად წარიმართა.

კომპოზიტორმა ნონა ჭახნაკიამ საღამოს მუსიკალურად გაფორმებაზე აიღო პასუხისმგებლობა, როგორც მოსალოდნელი იყო, ამჯერადაც ჩინებულად შეასრულეს ღონისძიების მონაწილეებმა შესაფერისი თემატიკის სიმღერები.

თხრობის კულტურა, სინაზე, სინატიფე, ლექსის აღქმა, განცდა იგრძნობოდა თითოეული მონაწილისაგან.

შთამბეჭდავობას საღამოს ის გარემოებაც ჰმატებდა, რომ მხოლოდ ბავშვები არ იყვნენ ჩართულები ღონისძიებაში. ლექსებს, ამონარიდებს პედაგოგებიც ჩინებულად კითხულობდნენ.

ლექსი მსახიობმა ვეფხია ნადირაძემაც წაიკითხა და ტაშიც დაიმსახურა. "მხარში გვედგა ვეფხია ღონისძიების მომზადებისას," _ ღვაწლი არ დაუკარგა ნატა ჯიქიამ.

ოვაცია დაიმსახურა მუნიციპალიტეტის გამგებლის ვალერიანე ფოცხვერიასა და გამგებლის მოადგილის ლიზა კრავეიშვილის მიერ ლამაზად წაკითხულმა ჯავარიანმა ლექსებმა, გარჯა დაუფასეს, უფრო სწორად შეუფასეს მათ ბავშვებს, პედაგოგებს.

დაბოლოს, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი ღონისძიება.



მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეთა თეატრისა და მოსწავლეთა პარლამენტის წევრებმა ლექსითა და სიმღერის თანხლებით საქართველოს ისტორია გააცოცხლეს, როგორც იტყვიან, ანიდან ჰოემდე, გააცოცხლეს სიყვარულის თანხლებით.

ვუცქერდი ლამაზად მორთულ დარბაზს, ვუსმენდი ფერიასავით გოგონებს, ახლად შეღერებულ ჭაბუკებს და გონებაში ვმსჯელობდი: ახლა შევდივართ ევროპაში თუ ძველი ევროპელები ვართ-თქო.

დიახ, ევროპის ვეება დარბაზებიც სიამოვნებით უმასპინძლებდა მსგავს ღონისძიებებს.

კარგი ბავშვები ხართ, ბავშვებო!
სიყვარულით გეცხოვროთ!



# შეხვედრა მშობლიურ სკოლასთან 50 წლის შემდეგ

***"ჩვენი ბავშვობა ამ სკოლაში უკვდავი დარჩა,
ამ შენობაში ირწეოდა ჩვენი აკვანი.
თქვენთან მოვედით, აღმზრდელებო,
რომ გცეთ თაყვანი..."***



ფიქრები, გრძნობები... რამდენია ისინი, ცოცხალი მოწმეები ადამიანის ცხოვრებაში, ხან ნათელი და ზუსტი, ხან ბუნდოვანი. ისინი ავსებენ სულს ტკბილი მოგონებებით.

თენდება, გარეთ წვიმს. ცაზე ბატონობენ შავი ღრუბლები. კარგია ფიქრი წვიმის ხმაურში. მე ვხუჭავ თვალებს... ჩემს თვალწინ ჩემმა ბავშვობამ გაიელვა. მახსენდება ჩემი კლასელები, ჩემი საყვარელი მასწავლებლები, რომლებიც დედასავით თავს გვევლებოდნენ.

... წვიმამ გადაიღო. მზემ გამოანათა. რა საოცარი და შესანიშნავი დღე გათენდა!



დღეს ხომ რუსული საშუალო სკოლის 1966 წლის კურსდამთავრებულები (3 პარალელი კლასი) იკრიბებიან სკოლაში, რათა აღნიშნონ სკოლის დამთვრების 50 წლისთავი, მოეფერონ სკოლას. მართალია, ჩვენს შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა არაა, მასპინძლობა სკოლაში მე დამევალა, როგორც იმ პერიოდის უფროს პიონერხელმძღვანელს. შეძლებისდაგვარად მოვაწყვე საკლასო ოთახში სტენდი, სკოლაში სწავლის პერიოდის ამსახველი ფოტოსურათებით.

მალე გამოჩნდნენ ორ მწკრივად დაწყობილი კურსდამთავრებულები: ნათელა ვაშაკიძე, ლიდა ჯანელიძე, გია ბოჭორიშვილი, ნინა დუნდუა, ჯულიეტა სიხარულიძე, ლიუდმილა ვაშაკიძე, იური ბარდაკოვი, ნელი კვანტალიანი, თემურ ნიშნიანიძე, ლერი ძველაია, დალი ჭანტურია, თამაზ სპირანტი, ნანა სალდაძე, დარიკო ქოქრაშვილი, ვიოლეტა გაბიძაშვილი, იასონ თარგამაძე და სხვები. მათ თვალებში სიხარულის ცრემლები ბრწყინავდა, ეფერებოდნენ სურათებს, საკლასო ოთახს. ჩვენს თვალწინ გაირბინა ჩვენმა ბავშვობამ. თითქოს ეს იყო გუშინ, როცა პატარები მშობლებმა მოგვიყვანა სკოლაში. მშობლიური სკოლის კედლებში გავატარეთ 10 წელი. გვასწავლიდნენ არაჩვეულებრივი მასწავლებლები: სკოლის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, რუსული საშუალო სკოლის დამაარსებელი ქალბატონი ტატიანა გეგუჩაძე, რუსული ენისა და ლიტერატურის კორიფე ქალბატონი ნადეჟდა ვორონოვა-ჯორბენაძე, ბრწყინვალე პედაგოგები: ქალბატონი ოლღა ფუნტოვა, ლიანა შეწირული, კლარა შანიძე, გალინა ნიშნიანიძე, მამია ლორთქიფანიძე, პავლე შენგელია, ნადეჟდა ზვენიგაროცკაია, ვერა დუნდუა, კლარა კიკაჩეიშვილი და სხვები.

ცრემლების გარეშე ვერ შევძელით ჩვენი გარდაცვლილი კლასელებისა და მასწავლებლების გახსენება. დაგვრჩა მხოლოდ მოგონებები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სპეტაკი სულები.

ყველა, რა თქმა უნდა, ვერ ჩამოვიდა, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო მათი სიყვარული და მეგობრობა, რომ ისრაელიდან მაინც ჩამოვიდა ვენერა მიკირტიჩიანი-ჯანაშვილი, რუსეთიდან ნატალია ერქვანიძე თავის მეუღლესთან ერთად, ჩამოვიდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან.

სკოლაში დამრიგებლის როლი შეასრულა ამ ღონისძიების ორგანიზატორმა გია ბოჭორიშვილმა, რომელმაც ყველას დაურიგა პატარა ბუკლეტები და სთხოვა დაეწერათ თავიანთი მოკლე ბიოგრაფიული ცნობები სკოლის შემდგომი პერიოდიდან.

სკოლიდან ყველანი წავედით წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარში, სადაც მამა ვახტანგმა გადაუხადა პანაშვიდი გარდაცვლილ კლასელებსა და მასწავლებლებს, ხოლო მამა ზურაბმა კი საჯანმრთელო პარაკლისი აღავლინა ცოცხლების სახელზე და უსურვა ყველას ჯანმრთელობა და უფლის წყალობა.

ბოლოს თავი მოვიყარეთ საბანკეტო დარბაზში. იყო მონატრება, სიყვარული, ნოსტალგია, სიხარულის ცრემლები.

მინდა, ყველას ვუსურვო დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ყოველივე კარგი ცხოვრებაში. ეს დღე დარჩება ყველა ჩვენგანისათვის ტკბილ მოგონებად.

მჯერა, რომ გაგრძელდება ის სიყვარული, მეგობრობა, ურთიერთპატივისცემა, რომელიც ჩვენ ამ სკოლაში ჩაგვინერგეს, რომელსაც "სათნოების დიდი სახლი ვუწოდეთ".

**ფოთოლა ჩიქობავა**
**ღვაწლმოსილი პედაგოგი**

# საგაზაფხულო რითმები გაზაფხულივით ლამაზებისგან



**თეა ბაბუნაშვილი**

**დიდი ამბავი იყო ''ზემბ'' _ ში. აქაოდა, გაზაფხული მოვიდაო, როგორ ჩაატარებდნენ ეს თვალხატულა გოგო-ბიჭები ამას დიდი მხიარულების გარეშე. გაზაფხულis საკადრისად შეეგებნენ გაზაფხულს გაზაფხულივით ლამაზები. სიმღერით, სიტყვებით, რითმებით მიესალმნენ ცხრათვალა მზეს, მათთვის ანთებულს. ''ზემბი'' ყოველთვის საგანგებოა, მაგრამ ამჯერად განსაკუთრებული იყო ის დიდი ოთახი, შინაურ გარემოს რომ უქმნის აქ მოსულ პატარებს.**

ასეა ყოველთვის, წელიწადის ოთხივე დროს დიდი ზეიმით ხვდებიან. უფროსებისთვის, აღმზრდელებისთვის ძალიან შრომატევადი, პატარებისთვის კი საინტერესოა ყველა დღე კერძო საბავშვო ბაღ ''ზემბში''. შერეულ ასაკობრივ ჯგუფთან მუშაობა განსაკუთრებულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამას სერტიფიცირებული პედაგოგი ნინო ცხვარაძე კარგადართმევს თავს. ძიძა თამუნა ილურიძე, რა თქმა უნდა, მის გვერდითაა საჭირო დროს. საბავშვო ბაღის მმართველი ლელა ბოხუა ინიციატორი და აქტიური მხარდამჭერია ყველა საინტერესო წამოწყების. მათი კრეატიულობის, ნიჭიერებისა და პროფესიონალიზმის წყალობით, ''ზემბის'' აღსაზრდელები სკოლამდელი აღზრდის პროგრამას ზედმიწევნით კარგად და სწორად ეუფლებიან. მუსიკის, ხელოვნების, ორი უცხო ენის, რუსულისა და ინგლისურის შესწავლა უახლესი და პროფესიულად გამართული მეთოდურობით მიმდინარეობს. კერძო საბავშვო ბაღს სიახლეც აქვს, განსაკუთრებით მოუცლელი მშობლების გასახარად, პირველი მაისიდან იგი შაბათობითაც იმუშავებს.

ორიგინალურები რომ იყვნენ, ღონისძიებებს ბავშვთა გასართობ ცენტრებშიც მართავენ. გარდა ამისა, თანამშრომლობენ და აქაურობის სტუმარი ხშირადაა ''მოდუსის'' თოჯინების თეატრი ქუთაისიდან. კულტურულ-შემეცნებითი უნარჩვევების მისაღებად აქაური აღსაზრდელები შაბათობით არაერთხელ ყოფილან ამ თეატრის სტუმრები ქუთაისში.

მოკლე დროში საკმაოდ პოპულარული გახდა ''ზემბი'' სამტრედიაში. და ეს უპირველესად იმიტომ, რომ აქ არ ეშინიათ, თუნდაც, ყველაზე რთულ გამოწვევებთან შეჭიდება, არ აკლიათ ინტერესი და საქმისადმი პასუხისმგებლობა.

ამიერიდან ასაკობრივ ჯგუფებად დაყოფილი პატარები, სწავლების მეთოდურად კიდევ უფრო გამართულ სისტემაზე გადავლენ. საერთოდ, სიახლეების დანერგვა ამ საბავშვო ბაღის მესვეურებისთვის უპირველესი მოთხოვნილებაა. მათი მიზანია, პროვინციულ სტანდარტებს გასცდნენ და ფეხი დიდი ქალაქების თანამედროვეობას აუწყონ.

პატარებს კი სულ არ აინტერესებთ ამგვარი მაღალფარდოვნი გამოთქმები. მათ უბრალოდ მიუხარიათ ''ზემბში'', სადაც ლამაზი თანატოლები, თბილი ღიმილი და მათზე მორგებული გარემო ეგულებათ, სადაც საუკეთესოდ ერთობიან და უცებ გადის დღე დედიკოების გარეშე.



# მზე, ზღვა და ლურჯი მდელო

**თეა ბაბუნაშვილი**



მიყვარხარ დედამიწავ, მიყვარხარ, რადგან ჩვენი სახლი ხარ _ ეს ლაიტმოტივი გახლდათ ღონისძიებისა, ვარსკვლავებივით ლამაზმა, ვარსკვლავებად ქცეულმა გოგო-ბიჭებმა დედამიწის დღის აღსანიშ-



ნავად რომ წარმოადგინეს. საუბარი ქალაქის მეცხრე საბავშვო ბაღზეა, სადაც ინტელექტუალურ-შემეცნებითი სანახაობა, სხვადასხვა ასაკის პატარების მონაწილეობით, ჩვეულებრივი მოვლენაა. იმაში დასარწმუნებლად, რომ ამგვარი შეფასება გადაჭარბებული არ არის, თავად უნდა დაესწროთ აქ გამართულ საღამოებს. მათში ჩადებული უდიდესი შრომა იმ პედაგოგების დამსახურებაა, მშობლებმა საკუთარი შვილები რომ ანდეს.

ლურჯი ცა და ზედ ვარსკვლავებად მიბნეული პლანეტები ერთადერთი დეკორაცია არ ყოფილა საგანგებოდ მორთული დარბაზისა. მისი აღმატებულება დედამიწა მთელი თავისი მშვენიერი ნაირფერადობით წარმოადგინეს იმ დღის შთამბეჭდავ დეკორაციად, ყოველთვის, იმ დღეს კი განსაკუთრებით ლამაზმა პატარებმა.

ასწავლეს და ისწავლეს ბევრი, იქნებ იმაზე გაცილებით მეტიც, ჩვეულებრივ მათი ასაკის აღსაზრდელებმა რომ უნდა იცოდნენ. თუმცა, ცოდნა არასდროს არის ზედმეტი და სასკოლოდ მომზადებული ეს გოგო-ბიჭები, ცოდნის ძლიერი საძირკვლით იამაყებენ სკოლის მერხებთან. მათი ასაკისთვის რთულად გამოსათქმელ ტერმინებს, დასახელებებს გასაკვირად სწორად გამოთქვამდნენ, გამართული მეტყველებით აშკარად გამოირჩეოდნენ. პედაგოგის მითითება, შეხსენება არ დასჭირვებიათ ღონისძიების მსვლელობისას. ოკეანეების, კონტინენტების დასახელებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ატმოსფეროსა და სტრატოსფეროსთან დაკავშირებული საკითხები საფუძვლიანად შეუსწავლიათ. 5-6 წლიანთა ჯგუფი მეცხრე საბავშვო ბაღში, ანუ ერთ-ერთ უძველეს საბავშვო დაწესებულებაში მთელ მუნიციპალიტეტში ნამდვილად გამორჩეული გახლავთ.

აღმზრდელ ხათუნა მიქელაძის, მისი თანაშემწის, ნინო სოსიაშვილის, ძიძა-სანიტრის, ნინო სანაძის, მუსიკის პედაგოგის, ძალიან გამოცდილი ქეთევან რამინაშვილის შრომის შედეგი სახეზეა _ საინტერესო ღონისძიება, რომელიც მიწვეულმა სტუმრებმა დიდი ოვაციებით შეაფასეს. და კიდევ ერთი ადამიანი, ვისაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საღამოს მომზადებაში, საბავშვო ბაღის მეთოდისტი მანანა გოდუაძე გახლავთ. ''საკმაოდ რთული თემა ავირჩიეთ, მაგრამ პატარები იმდენად დაინტერესდნენ, რომ მათი ასაკისთვის პროგრამულზე მეტი ინფორმაციაც მიიღეს. ვიმუშავეთ სანახაობრივ მხარეზეც და საერთო ჯამში, ვფიქრობთ საინტერესო გამოვიდა ღონისძიება.'' _ აღნიშნა მან. მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერი ფოცხვერიამ, მისმა მოადგილემ ლიზა კრავეიშვილმა, საკრებულოს იურიდიული და სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ დამსახურებულად მაღალი შეფასებებით ''დაასაჩუქრეს'' პატარები და მათი პედაგოგები. პროფესიულ მხარეზე გაამახვილეს ყურადღება და ამ კონტექსტში განიხილეს საბავშვო ბაღის მუშაობა სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა ხათუნა გაგუამ და მისმა მოადგილემ მარინა შენგელიამ.



როგორც აღნიშნა, ხათუნა გაგუასთვის ეს საბავშვო ბაღი განსაკუთრებით მშობლიურია, რადგან წლების წინ მისი მმართველი გახლდათ. ''რადგან ყველასთვის ცნობილია, ამ საბავშვო დაწესებულების ტრადიციებზე ახლა არ შევჩერდები. დღევანდელი ღონისძიების ღირსებებზე სასაუბროდ, ფაქტი სახეზეა. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც მის მომზადებაში მონაწილეობა მიიღო, რადგან ისინი ორმაგად საჭირო საქმეს აკეთებენ, მომავალი თაობის განათლების პირველი საფეხურის საძირკველს ამტკიცებენ.'' _ ასეთი გახლდათ მისი შეფასება ღონისძიების დასრულების შემდეგ.

''გარდა იმისა, რომ ეს უშუალოდ პედაგოგების საუკეთესო მუშაობის შედეგია, მთელი გაერთიანების, მეთოდისტების, ყველა თანამშრომლის ჯგუფური, გამართული მუშაობის დამსახურებაცაა.'' _ აღნიშნა გაერთიანების დირექტორის მოადგილემ, მარინა შენგელიამ. გაერთიანების მეთოდისტმა, ნანა კორძაიამ ხაზი გაუსვა, რომ ეს სანახაობა, იქნებ განსაკუთრებულად შეფუთული, მაგრამ ამ საბავშვო ბაღისთვის ერთი ჩვეულებრივი გაკვეთილია. გაერთიანების შესყიდვების კოორდინატორი ქეთევან ივანაშვილი აცხადებდა: ''სამტრედიის მუნიციპალიტეტში ყველა სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება პრინციპით ''ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს'', მუშაობს და პროფესიონალიზმის დონეც საკმაოდ მაღალია.''

იმ დღის განსაკუთრებული სტუმარი ქუთაისიდან მოწვეული საგანმანათლებლო ჟურნალ ''თვალსაზრისის'' რედაქტორი, ქუთაისის სკოლამდელ დაწესებულებებში სააღმზრდელო პროგრამების ორგანიზატორი, ლელა გურგენიძე გახლდათ, რომელმაც განსაკუთრებით გამოკვეთა: ''მადლობა დღევანდელი დღისთვის. უნდა აღვნიშნო, რომ მას შემდეგ, რაც სააღმზრდელო პროგრამა შეიცვალა სკოლამდელ დაწესებულებებში გაცილებით პოზიტიური გახდა პატარებთან მუშაობის პროცესი. დღევანდელი პროექტი თემატური სწავლების პრინციპით გახლდათ შერჩეული, რასაც ბავშვებმა ძალიან კარგად გაართვეს თავი. და ყველაზე მთავარი, ყოჩაღ თქვენ, რომ ასე კარგად მეტყველებენ ბავშვები. ეს პედაგოგის დიდი შრომის და მუშაობის დამსახურებაა.''

საბავშვო ბაღის მმართველი ნანა უგულავა ღონისძიების შეფასებისას მთელი კოლექტივის და ამ შემთხვევაში უფროსი ჯგუფის აღმზრდელების შრომისმოყვარეობასა და პროფესიონალიზმს უსვამდა ხაზს: ''მეიმედება და მეამაყება ჩემი კოლექტივი. თამამად შემიძლია ვენდო მათ, არ შემარცხვენენ. თანამედროვე მოთხოვნებს ღირსეულად ვუწყობთ ფეხს, ეს კი, პირველ რიგში, პედაგოგების და ჩვენი მეთოდისტის დამსახურებაა.''

ღონისძიება, დედამიწის დღეს რომ მიუძღვნეს, რომელიც 22 აპრილს აღინიშნება, საქმიანად დასრულდა _ მუნიციპალიტეტის გამგებელთან ერთად მოწვეულმა სტუმრებმა ხეები დარგეს საბავშვო ბაღის ეზოში. მზე, მთვარე და ვარსკვლავებივით ლამაზმა გოგო-ბიჭებმა პირობა დასდეს, რომ პატარა ხელებით მოუვლიდნენ და გაახარებდნენ ამ ნარგავებს.

# საქართველოს ნაკრები ცხრაგზის ევროპის ჩემპიონია

ნინო ნანიტაშვილი




დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში საქართველოს ნაკრები ჭიდაობა ძიუდოში მეცხრედ ხდება ევროპის ჩემპიონი. გუნდურ ასპარეზობაში შეხვედრები პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში გაიმართა. მასში მონაწილეობას ღებულობდა ევროპის კონტინენტის 40-ზე მეტი ქვეყანა. მათ შორის იყო საქართველო, რომლის სახელით სამტრედიის მუნიციპალიტეტის კლუბ "ფალავანის" (დირექტორი ირაკლი მელაშვილი) აღზრდილი, უშანგი მარგიანი გახლავთ. ევროპის ჩემპიონატი უფროსი ასაკის მამაკაცებს შორის 21 აპრილს დაიწყო და 23 აპრილს დასრულდა. სამდღიან ასპარეზობას უნდა გამოევლინა საუკეთესო როგორც პირად პირველობაში, ასევე _ ევროპის საუკეთესო გუნდი.

საქართველოს ნაკრები გუნდურ პირველობაში პირველ ეტაპზე დაუპირისპირდა იტალიის ნაკრებს და ანგარიშით 4 : 1 დაამარცხა. მეორე ეტაპზე საქართველოს ნაკრების მეტოქედ სერბეთის ნაკრები გამოიკვეთა. აქ ასევე დამაჯერებელი გამარჯვება ვიზეიმეთ. ფინალში გასასვლელ ეტაპზე საქართველოს ნაკრებს წინ უკრაინის ნაკრები გადაეღობა.

ავთანდილ თარგამაძის ინფორმაციით, უკრაინასთან ორთაბრძოლაში, როცა საქართველოს ნაკრები ანგარიშით 2 : 1-ს აგებდა, მხოლოდ ორ ძიუდოისტზე იყო დამოკიდებული ფინალში ასპარეზობა და გამარჯვება: "90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩვენი კლუბის აღზრდილმა ძიუდოისტმა, უშანგი მარგიანმა იპონი გდებით აღადგინა წონასწორობა, რითაც საქართველოს ნაკრები გაიყვანა ფინალურ ეტაპზე, სადაც მას მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი, რუსეთის ნაკრები ელოდებოდა."

საქართველოს ნაკრები ამარცხებს რუსეთის ნაკრებს ანგარიშით 3:2 და უკვე მეცხრედ ეუფლება ევროპის ჩემპიონის ტიტულს.

"ვსარგებლობ შემთხვევით და ეს დიდი გამარჯვება მინდა, მივულოცო უშანგი მარგიანის მშობლებს, მწვრთნელებს, ბესარიონ შვანგირაძესა და ბადრი შენგელიას. იმედს გამოვთქვამ, რომ უშანგი მარგიანი კიდევ მრავალჯერ გაახარებს ძიუდოს, სპორტის ამ უძლიერესი სახეობის გულშემატკივრებს". _ ამბობს "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში ავთანდილ თარგამაძე.

გუნდური ასპარეზობის დასრულების შემდეგ საქართველოს ნაკრები მთელი შემადგენლობით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შედგა, მათი შესრულებით პოლონეთში საქართველოს ეროვნულმა ჰიმნმა გაიჟღერა და საქართველოს დროშა კიდევ ერთხელ აფრიალდა ვარშავის ცაზე.

ძიუდოისტებს წინ მსოფლიო ჩემპიონატი ელოდებათ, რომელიც, სავარაუდოდ, აგვისტოში გაიმართება.







## ნანა ძაგნიძე ევროპის ჩემპიონია



ლატვიის დედაქალაქ რიგაში მიმდინარე მე-18 ევროპის ჩემპიონატში ჭადრაკში ქართველი უძლიერესი მოჭადრაკე ნანა ძაგნიძე ევროპის ჩემპიონი გახდა. აღსანიშნავია, რომ ნანა პირველი ქართველი ქალია, რომელმაც კონტინენტში ჩემპიონობა შეძლო. აქამდე ქართველების მონაგარში 2 ვერცხლი და 3 ბრინჯაოს მედალია. ევროპის ჩემპიონატების ისტორია 2000 წლიდან იწყება. სხვადასხვა დროს ქართველი მოჭადრაკეებიდან პრიზიორები იყვნენ: ვერცხლი _ სალომე მელია (2013 წ.), ნინო ბაციაშვილი (2015 წ.); ბრინჯაო _ მაია ჩიბურდანიძე (2000 წ.), ქეთევან არახამია _ გრანტი (2001 წ.), სალომე მელია (2014 წ.).

ვულოცავთ ქუთაისელ დიდოსტატს, ქალბატონ ნანა ძაგნიძეს ამ დიდ წარმატებას. ვუსურვებთ მალე მსოფლიოს ჩემპიონობაც მოეპოვებინოს!

**გულიკო გოგიტიძე**
**ჭადრაკის კოლეგები**

## ის ილორელი წარმატებული ფეხბურთელი გოგონა თეონა სტურუაა




თეონა სულ პატარა იყო, როცა ფეხბურთით დაინტერესდა. ილორის სკოლის დიდ მოედანზე შეუერთდებოდა მოთამაშე ბიჭებს და სანამ დედა არ მოაკითხავდა, ფეხბურთის თამაშს თავს არ ანებებდა. ერთხელაც, ახალგაზრდა სპორტსმენმა გურამ ჩიგოგიძემ შეამჩნია პატარა თეოს შესაძლებლობები. მან ქუთაისის ქალთა ფეხბურთის მწვრთნელთან ბატონ პაატა დოგრაშვილთან უშუამდგომლა თეოს. გოგონას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მან უმალ დაითანხმა მამა, შემდეგ მეზობელთან გელა ნადირაძესთან ერთად ქუთაისელ ტრენერს მიაშურა. ბატონ პაატას თეონა ძალიან მოეწონა და მის გუნდში ჩარიცხა. ერთ წელიწადში კი იგი უკვე საქართველოს 19 წლამდე ასაკის ნაკრებში მოხვდა. სულ მალე თეონა კვალიფიციურ ფეხბურთელად ჩამოყალიბდა და გუნდთან ერთად უამრავი ტურნირი მოიგო. რამდენჯერმე მის მიერ გატანილი გოლიც დაფიქსირდა. ბევრჯერ მისი კარიც გადაარჩინა გოლის გაშვებას. 8 წელია თეონა გაერთიანებულია ქუთაისის ქალთა გუნდ "მართვეში". ამჯერად იგი ეროვნულ ნაკრებში თამაშობს. მონაწილეობდა აზერბაიჯანსა და თურქეთში თურქეთის ეროვნულ ნაკრებთან შეხვედრებში. ეს თამაშები ქართველ გოგონათა ნაკრების გამარჯვებით დასრულდა. შემდეგი თამაში ჩეხოსლოვაკიის ქალაქ პრაღაში ჩაატარეს ჩეხეთის ეროვნულ ნაკრებთან. ამის შემდეგ ისინი გაემგზავრნენ ირლანდიაში. ქალაქ ბელფასტში ირლანდიის ძლიერ ნაკრებთან უშეღავათო ბრძოლაში დამარცხდნენ, თუმცა დიდი გამოცდილება მიიღეს. საქართველოში კი იტალიის ნაკრებს უმასპინძლეს.

თეონა სტურუას მწვრთნელი პაატა დოგრაშვილი სულ გვერდით უდგას, არიგებს და ამხნევებს, სწორედ მისი რჩევით გავიდა თეონა გამოცდაზე და აიღო მწვრთნელის ლიცენზია. გამოცდა ჩააბარა საქართველოს ფედერაციაში ქალბატონ ეკა ჯავახიასა და ქალბატონ ნინო სორდიას თაოსნობით. მან დაამთავრა ქუთაისის კავკასიის უნივერსიტეტი ექიმ მასაჟისტის სპეციალობით. სექტემბერში თბილისში მიიღო მონაწილეობა ევროპის საკვალიფიკაციო თამაშში შვეიცარიის ქალთა ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ.




2017 წლიდან ილორელმა წარმატებულმა ფეხბურთელმა გოგონამ, თეონა სტურუამ სამტრედიაში გახსნა ნიჭიერ გოგონათა საფეხბურთო კლუბი. მისი მიზანია, საქართველოს გაუზარდოს პერსპექტიული თაობა.

იმერეთის გუბერნატორმა ბატონმა გივი ჭიჭინაძემ ქუთაისის ქალთა გუნდ "მართვეს" ყველა წევრი დააჯილდოვა თასით, სიგელით, ფედერაციას კი ჩაურიცხა სოლიდური თანხა. რამეთუ წელს გუნდმა საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვოს. წარმატებები ვუსურვოთ ილორელ თეონა სტურუას!

**გულიკო გოგიტიძე**

# ერთი ოცნების ტყუპისცალი

## (ტიციან ტაბიძე)

**გაგრძელება. დასაწყისი "სამტრედიის მაცნე" №10**

**ერთი ოცნების ტყუპისცალი (ტიციან ტაბიძე)**

უამრავ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში იბეჭდებოდნენ "ცისფერყანწელები", მრავალი საკუთარი გამოცემაც ჰქონდათ. მათი სრულად ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ მაინც მინდა, რამდენიმეზე გავამახვილო ყურადღება: 1. ალმანახი "ცისფერი ყანწები" (1916 წელი), მხოლოდ ორი ნომერი გამოიცა. 2. ალმანახი "ლიგეია", რომელიც დაცულია იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში, მხოლოდ ორი ნომერია მოღწეული, გამოდიოდა 1918 წელს. ლიგეია სახელია ედგარ პოს პერსონაჟი ქალისა პოემაში "ალ-აარაფი". ამ ალმანახში დაიბეჭდა გრიგოლ მეგრელიშვილის მიერ თარგმნილი ედგარ პოს "ყორანიც". ალმანახის რედაქტორი უცნობია, მაგრამ რადგან მასში მხოლოდ სიმბოლისტური ნაწარმოებები დაიბეჭდა, ჩვენი ვარაუდით იგი "ცისფერყანწელთა" გამოცემა უნდა იყოს. მესამე "ცისფერყანწელთა" ალმანახია "მეოცნებე ნიამორები" (რედ. ვ. გაფრინდაშვილი, 1919-1924 წლებში ჯერ ქუთაისში გამოდიოდა, შემდგომ _ თბილისში).

"ალმანახი გვამცნობს "ცისფერყანწელთა" როგორც ესთეტიკურ კრედოს, ისე ევოლუციის სურათსა და შემოქმედების ნიმუშებს. იგი იყო წმინდა ლიტერატურულ-ესთეტიკური გამოცემა, არ შემოდიოდა არც პოლიტიკა, არც პუბლიცისტიკა, არც ყოფითი ამბები... გამოიცა თერთმეტი ნომერი. ბოლო ნომერს მოსცილდა სიტყვა "მეოცნებე". შედგებოდა უცვლელად 16 გვერდისაგან" (ს. სიგუა "მოდერნიზმი", მწერლის გაზეთი", თბ. 2008 წ. გვ. 109).

ზემოთ ჩამოთვლილ ალმანახებს ემატება "შვილდოსანი" (რედ. სანდრო ცირეკიძე), იგი 24 გვერდისაგან შედგებოდა. სიმბოლისტურ-დეკადენტური განწყობილებების ამსახველი ლექსები იბეჭდებოდა ამ ალმანახშიც. "ცისფერყანწელები" ფართოდ იბეჭდებოდნენ გაზეთ "ბახტრიონში" (რედ. გ. ლეონიძე), გაზეთი "ლაშარი" მათი გაზეთი იყო, მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა. აქ დაიბეჭდა ტიციანის ლექსი "ცხენი ანგელოსით".

ვალერიანე გაფრინდაშვილის ლოზუნგი "დაბრუნება მიწასთან", რომელიც წამოყენებულია ესსეში "ახალი 1922 წლის ქართულ პოეზიაში", სწორედ ამ გაზეთის ფურცლებზე გამოჩნდა. ამ პერიოდში 1922-1924 წლებში გამოდიოდა გაზეთი "ბარიკადი" (რედ. ტ. ტაბიძე), ამავე სახელწოდების გაზეთს სცემდა შარლ ბოდლერი 1848 წლის საფრანგეთის რევოლუციის დროს.

ტიციან ტაბიძემ ერთ-ერთ ესსეში წარმოგვიდგინა სუდეიკინის, გუდიაშვილისა და კაკაბაძის მიერ მოხატული კაფე "ქიმერიონი".

"მაშინ "ცისფერყანწელებს" ეგონათ, რომ სოციალური რევოლუციის პარალელურად ისინი ახდენდნენ რევოლუციას პოეზიაში და თითქოს ამიტომ ბოლშევიკები მათი მფარველები უნდა ყოფილიყვნენ.

ეს მიამიტური ოცნება მალე დათრგუნა 1924 წლის სასტიკმა რეპრესიებმა და ყანწელთა მაჟორული ჰანგები შეცვალა ნამდვილმა სევდამ და სასოწარკვეთამ"... (ს. სიგუა "მოდერნიზმი", თბ. 2008 წ. გვ. 113).

1923 წლის 21 იანვარს გამოიცა "სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის ყოველკვირეული გაზეთი _ "რუბიკონი".

ტიციან ტაბიძის ნათარგმნი "დადას მანიფესტები" ამ გაზეთში დაიბეჭდა. ასე რომ, "ცისფერყანწელებს" ლიტერატურულ სარბიელზე საკმაოდ მყარი პოზიციები ეკავათ.

უთვალსაჩინოესი ფრანგი პოეტი ლუი არაგონი თავის ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა, ეხებოდა რა გზაჯვარედინზე მდგომი პოეტების შემოქმედებას: "... მათ მხოლოდ იმ ნიშნით კი არ უნდა ვაფასებდეთ, თუ საიდან, რომელი მიმდინარეობიდან გამოვიდნენ ისინი, არამედ მთავარია, საბოლოოდ სად მივიდნენ".

ტიციანმა და მისმა მეგობრებმა იმანენტურ ძალთა სრული გამოხმობით, შინაგანი ბრძოლებითა და განსაცვიფრებელი ძალისხმევით გადმოლახეს ადრეულ შემოქმედებაში დავანებული მოდერნისტული სკოლების გავლენა, დეკადენტური განწყობილებები და თანდათან მკვიდრად დადგნენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე. საქართველოში საბჭოური წყობილების დამყარების შემდეგ იწერება ტიციან ტაბიძის მაღალი პოეტური გრძნობით, განცდითა და ტემპერამენტით აღბეჭდილი ლირიკული შედევრები: "ლექსი მეწყერი" (1927), "რიარია" (1927), "ამოდის, ნათდება" (1927), "გალაკტიონ ტაბიძეს" (1927), "მაშ გამარჯვება" (1928), "ოქროყანა" (1928), "ანანურთან" (1929), "მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი" (1932), "სამშობლო" (1935) და სხვა.

პირველი მისი საბჭოური ვრცელი ნაწარმოებებია პოემები: "თვრამეტი წელი" (1928), "ფრონტებზე" (1928), "რიონი _ პორტი" (1928), "გულდაგულ" (1929), ამას მოჰყვა შესანიშნავი ნარკვევების წიგნი "გულდაგულ".

ტიციანი დღითიდღე მაღლდებოდა, გაბედული ნაბიჯებით მიიწევდა ახალ-ახალი შემოქმედებითი მწვერვალების დასაპყრობად.

ღვიძლი ბიძაშვილისადმი _ გალაკტიონისადმი მიძღვნილ წერილში "მარტოობის ორდენის კავალერი" ერთგან აღნიშნავს: "იმას აქვს ძლიერი ტემპერამენტი და მხატვრული გულწრფელობა, მისი ლექსი განცდილია და მომხიბლავი" (ტიციან ტაბიძე, პროზა. ტ. II, გვ. 222). იგივე სიტყვები შეგვიძლია გავიმეოროთ ტიციან ტაბიძეზე, კაცზე, პოეტზე, რომელიც მუხლმოდრეკილი ლოცულობდა ძვირფას ხატებთან, საუბრობდა დიდებულ წინაპართა აჩრდილებთან. ასე მგონია _ გადახსნილი ჰქონდა ვენები და გულიდან მოდენილი სისხლით წერდა თავის "მშანთავ" სტრიქონებს და ალავერდს გადადიოდა ახალ ცხოვრებასთან:

"დაფასთან ვდგავარ და ვშლი ძველ ლექსებს,
ცარცით კი არა, სისხლით რომ ვწერდი...
საბჭოთა მიწა! _ გიკოცნი ფესვებს,
ახალ ცხოვრების ვარ ალავერდი!"

როგორც ვიცით, 1913-1917 წლებში ტიციან ტაბიძე მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა. აქ უპრიანია გავიხსენოთ ბრძენი ილიას "მგზავრის წერილები", სადაც ის მოსკოვში გატარებული ოთხი წელიწადის შეფასებას იძლევა: "ოთხი წელიწადი იყო რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!.. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია? პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული, მაგრამ ყველასათვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინში და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომლიდანაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლყურძენაცა. ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო, ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთაქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა".

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ტიციან ტაბიძისთვის ისეთივე მნიშვნელოვანია რუსეთში გატარებული ოთხი წელიწადი, როგორიც ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძისათვის იყო.

რუსეთში სწავლის ჟამს გაეცნო ტიციანი გამოჩენილ რუს პოეტებს, ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს. საყოველთაოდ ცნობილია მისი მეგობრობა კონსტანტინე ბალმონტთან, ადრეი ბელისთან, სერგეი ესენინთან, ვალერი ბრიუსოვთან, ბორის პასტერნაკთან, ვიქტორ გოლცევთან, პავლე ანტოკოლსკთან, ზაბოლოცკისთან... ვლადიმერ მაიაკოვსკთან ჯერ კიდევ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის პერიოდიდან მეგობრობდა.



"ტიციანი მრავალფეროვანი, დიდი დიაპაზონის ადამიანი და მხატვარი იყო, დიდი ტემპერამენტისა და სინაზის მატარებელი. მას უყვარდა ცხოვრება, შრომა, იგი იყო აზრის და საქმის ადამიანი, პოეტი, მოაზროვნე, ესთეტი, კრიტიკოსი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, ორატორი, "ცისფერყანწელების" იდეოლოგი, დაუღალავი ორგანიზატორი, რედაქტორი, გამომცემელი, მეპრესე, ფელეტონისტი, ახალგაზრდობის დამხმარე და ამავე დროს ნამდვილი "ამფიტრიონი" (გიორგი ლეონიძე).

1921 წელს ტიციან ტაბიძემ და გიორგი ლეონიძემ ქართულ ენაზე გამოსცეს მათ მიერ თარგმნილი რევოლუციონერ პოეტთა ლექსების პირველი კრებული.

1922 წლიდან მისი რედაქტორობით გამოდიოდა გაზეთი "ბარიკადი", 1922 წელს ის გახლდათ მოთავე კაფე "ქიმერიონის" დაარსებისა.

კაფე "ქიმერიონი" იმ დროს წარმოადგენდა ქართველ "ხელოვანთა ყავახანას" _ იმ მყუდრო თავშესაფარს თუ საკრებულოს, სადაც ქართველი მწერლები, მხატვრები, მსახიობები, მუსიკოსები და მათი თაყვანისმცემლები თავს მოიყრიდნენ ხოლმე, სადაც იკითხებოდა ახალი ლექსები და მოთხრობები...

ტიციან ტაბიძე იყო 1930 წელს მთაწმინდაზე მწერალთა (შემდგომში _ ლიტერატრული) მუზეუმის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი.

1934 წელს გამოვიდა ტიციან ტაბიძის ლექსების "რჩეული" ქართულად, ხოლო ერთი წლის შემდეგ, მოსკოვის გამომცემლობამ გამოსცა ამავე სახელწოდების წიგნი რუსულ ენაზე. დასახელებული რჩეულების გამოცემამ საყოველთაო აღიარება მოუტანა პოეტს. პირველხარისხოვანმა სიტყვის ოსტატებმა თარგმნეს მისი ლექსები რუსულად, რომლებთანაც ურთიერთობა უნივერსიტეტში სწავლის წლებიდან იწყება.

ტიციან ტაბიძე იყო დელეგატი საქართველოს მწერალთა I და II ყრილობებისა, 1934 წელს საბჭოთა კავშირის მწერალთა I ყრილობის დელეგატად აირჩიეს. ყრილობაზე მან ასე მიმართა დამსწრეთ: "გამოავლინო ახალი სოციალისტური მშენებლობისა და განთავისუფლებული შრომის, ცხოვრების თრთოლვა, აი ახალი ადამიანის სიმამაცის საქმე, ოპტიმისტური პოეზიის საფუძველი, და ჩვენ ვალდებულნი ვართ ვიპოვოთ მისი გამოსავლინებელი საშუალება". ყრილობებზე, საზოგადოებრივ სხდომებზე, სოფლად თუ ქალაქად, ფაბრიკა-ქარხნებში, ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით გამართულ მიტინგებზე უფრო ხშირად და მძლავრად გაისმოდა მისი მგზნებარე პოეტური სიტყვა. თავის გამოსვლაში სიამაყით განაცხადა, რომ ქართველებს ისეთი მდიდარი და მრავალფეროვანი ხალხური პოეზია გაგვაჩნია, ნებისმიერ ერს გამოადგებაო თავის მოსაწონებლად, ქართველ ხალხს უკვდავებისთვის სხვა რომ არ იყოს, თავისი ხალხური შემოქმედებაც ეყოფოდაო.

ვერ დამისახელებთ ვერც ერთ გამოჩენილ ქართველ პოეტს, მწერალს, რომლებიც არ დაინტერესებულიყვნენ ეროვნული ხალხური პოეზიის შეკრებისა და შესწავლის საქმით, ამ მხრივ არც ტიციანია გამონაკლისი.

კახეთში იმყოფებოდა სტუმრად, ყაზბეგში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნის საქმეს მესვეურობდა, თუ საქართველოს რომელიმე კუთხეში მოგზაურობდა, სასიქადულო პოეტი ყოველთვის გამოძებნიდა დროს მოესმინა, ჩაეწერა ხალხური მთქმელებიდან, ავტორმთქმელებიდან უნიკალური ფოლკლორული მასალები. ტიციან ტაბიძე გახლავთ ინიციატორი 1935 წელს ყაზბეგში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მოწყობისა, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებასა და შემოქმედებას. მისი და გიორგი ლეონიძის ინიციატივით დაარსდა საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი (1938 წელი).

"თუ ვინმეს მისამართით შეიძლება ვიხმაროთ სახელად მოღვაწის ტიტული, მათ შორის გახლავთ ტიციანი, რადგანაც იშვიათად თუ გაუკეთებია ჩვენი საუკუნის მწერალთაგან ვინმეს ეროვნულ ლიტერატურათა დაახლოებისა და დაძმობილების საქმეში იმდენი, რამდენიც მან გააკეთა.

ტიციან ტაბიძე ამ შემთხვევაში სრულიად ავლენს ყველა იმ საუკეთესო თვისებას, რითაც ქართველი კაცის ინტერნაციონალური ბუნება ხასიათდება თავისი გულგაშლილობითა და სტუმარმასპინძლური ნიჭით, მან მრავალი მეგობარი შესძინა ქართულ მწერლობას" (ავთანდილ ნიკოლეიშვილი "თვალთახედვა". გამომც. "საბჭოთა საქართველო", ქუთაისის ფილიალი, 1987 წელი).

სამაგალითოდ შეიძლება მივიჩნიოთ ტიციანისა და ბორის პასტერნაკის მეგობრობა. ამ ორი ადამიანის ბედი უშუალოდ არის გადაჯაჭვული ერთმანეთთან. დიდმა და ერთგულმა მეგობრებმა ბოლომდე შესვეს უსამართლობის მწარე ფიალა.

ბორის პასტერნაკი საქართველოზე, ქართულ კულტურასა და მწერლობაზე უსაზღვროდ შეყვარებული შემოქმედი იყო. სწორედ მან გააცნო რუს მკითხველს ქართული პოეზიის, ქართული სიტყვის ლაზათი და განუმეორებელი სილამაზე. ტიციანის დახმარებით მან მშვენივრად ააჟღერა რუსულ ენაზე ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის... მისი თანამედროვე ლირიკოსების პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ვალერიანე გაფრინდაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, ირაკლი აბაშიძისა და სხვათა ლექსები. ნამდვილ ბედნიერებას უწოდებდა ბორის პასტერნაკი ქართული პოეზიის ნიმუშების თარგმნაზე მუშაობას. ბორის პასტერნაკის წერილები ტიციანისადმი, პოეტის მეუღლისადმი ნინო მაყაშვილისადმი შესანიშნავად გადმოგვცემს იმ თბილ ურთიერთობას, რაც ტიციანის ოჯახს პასტერნაკის ოჯახთან აკავშირებდა.

ჩვენი სასიქადულო სახალხო მხატვარი ლადო გუდიაშვილი იგონებს:

"ვინ არ მინახავს ტიციანის სახლში... მასთან გავიცანი ბორის პასტერნაკი, სერგეი ესენინი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, იური ტინიანოვი, ვიქტორ გოლცევი, ოსიპ მანდელშტამი, ნიკოლოზ ტიხონოვი, პავლე ანტოკოლსკი, ანდრეი ბელი, კონსტანტინე ბალმონტი, ილია ერენბურგი და სხვები... რომელი ერთი ჩამოვთვალო. მისი კარი მუდამ ღია იყო მეგობრებისთვის, მისი მოყვარული და კეთილშობილი გული ყველგან მეგობრებს პოულობდა, უყვარდა ცხოვრება მთელი თავისი სიხარულით... მისი მთავარი სალოცავი კი საქართველო იყო".

ვლ. მაიაკოვსკისთან მეგობრობა ტიციანისა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიაში სწავლის პერიოდიდან იწყება. მას აქვს მშვენიერი წერილი "შეხვედრები მაიაკოვსკისთან", სადაც მას იგონებს, როგორც მაღალკანჭებიან, მოკლეშარვლიან მუდამ შემართებულ ჭაბუკს, ანთებულს რევოლუციური განწყობილებებით, რომელიც საკმაოდ კარგად ლაპარაკობდა ქართულად. იხსენებს მოსკოვის ქუჩებსა და ესტრადებზე ვლადიმერ მაიაკოვსკისა და სხვა ფუტურისტების გამოჩენას. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, აღელვებდა, იტაცებდა სტუდენტ ტიციანს. ეს მეგობრული გრძნობა მშვენივრად გადმოგვცა ლექსში _ "მაიაკოვსკის დედა და დები":

"... ჩემ წინ იშლება საერთო ყრმობა და ქუთაისში რევოლუცია,
თუ იყო მასში გამბედაობა, ეს თქვენს ქვეყანას გადმოუცია
და მე ვიცოდი, რომ მაიაკოვსკის, არ დარჩენია ამ ქვეყნის ვალი,
პოეზიისთვის ბრძოლებს ვინ მოსთვლის, მას დევის ჰქონდა ფეხი და კვალი!"

.........

არ იყო მისთვის უცხო ალერსი რევოლუცია, წითელი პერსნა,
მან ის იმღერა ვაჟკაცურ ლექსით _ რაც საქართველოს მთებში მოესმა".

საოცარი გრძნობითა და განცდით იწერება 1936 წელს მაიაკოვსკისადმი მიძღვნილი ლექსი "ბაღდათის ზეცა". ის პათეტიურად მიმართავს პოეტს, რომელსაც გადაუხდელი ვალი თან წაჰყვა ბაღდათის ზეცის:

"გულდასაწყვეტი დაგვრჩა მრავალი,
მაინც საერთო გვაქვს ერთი ვალი,
რაც მე მაწვალებს ღამე და დღეცა,
ლაჟვარდოვანი ბაღდათის ზეცა".

.......

სხვისა სხვამ გვითხრას, მე ბაღდათის ცის, მინდა გიმღერო ბავშვობის ნანა,
დღეს აპრილია, აპრილმა იცის ვაშლის ხეებით სულის გატანა,
როგორც დედის რძე და ბავშვის ტუჩი, ასკდება ატმის ყვავილი ყვავილს,
მოდი ამ მეწყერს კაცი გადურჩი, ან საირმეზე ირმების ბღავილს.
ასე მგონია, შენი სიკვდილიც, სიზმარი არის მხოლოდ უხეში
და ამ აპრილის რძიანი დილით, დადგები მუხად ბაღდათის ტყეში".

ვლადიმერ მაიაკოვსკის უკვდავი სახელი, როგორც რევოლუციის ტრიბუნისა და უბრწყინვალესი შემოქმედის, თან წაჰყვება მომავალ საუკუნეებს.

საყოველთაოდ ცნობილია დიდი რუსი ლირიკოსის, რჩეულთა შორის რჩეული პოეტის სერგეი ესენინის მეგობრობა ტიციანთან, "ცისფერყანწელებთან", მისი სტუმრობა საქართველოში. ამაზე ნათლად მეტყველებს ეს პატარა წერილი გამოგზავნილი 1925 წლის 20 მარტს ტიციან ტაბიძისადმი:

"ძვირფასო მეგობარო, ტიციან!

აი, მე უკვე მოსკოვში ვარ. ძალიან გამეხარდა ჩემი მეგობრების ნახვა და ვიხსენებ და ვუამბობ მათ თბილისის ამბებს...

საქართველომ მომხიბლა, როგორც კი შევსვამ ჩემთვის დაგროვილ ჰაერს მოსკოვსა და პიტერში, მაშინვე გამოვბრუნდები უკან, თქვენკენ, რომ გნახოთ და გადაგეხვიოთ... მომიკითხე ყველა ჩემი კარგი მეგობარი _ პაოლო, ლეონიძე და გაფრინდაშვილი. ჩემ მაგივრად ეამბორე შენს მეუღლეს და ქალიშვილს, თუ ძნელი არ იქნება მომწერე ორიოდე სიტყვა".

ს. ესენინის გარდაცვალება 1925 წელს ძალიან განიცადეს "ცისფერყანწელებმა," განსაკუთრებით ტიციან ტაბიძემ. მთელი დღეები გაოგნებული და უაღრესად გულდამძიმებული დადიოდა. "ესენინის ტრაგიკული დაღუპვა (თვითმკვლე-

ლობა თუ მკვლელობა) მისთვის ორგვარად შემზარავი იყო, ერთი მხრივ _ ეს იყო მეგობრის დაკარგვა, მეორე მხრივ _ საკუთარი მომავლის გაცნობიერებაც. გაცნობიერება იმისა, რომ სიცოცხლე ასეთ ვითარებაში სირცხვილიც კი იყო. ამ შემთხვევაში თავის თავს გულისხმობს. სულმა სული იცნო'' (ზოია ცხადაია, ჟურნალი ''მატიანე'', ვანი, 1916 წ. № 7, გვ. 55).

ლექსში ''სერგეი ესენინს'', უმძაფრესი ტრაგიკული განცდითაა გადმოცემული ტიციანის ღრმა მწუხარება მეგობარი პოეტის გარდაცვალების გამო:

''გაუხედნავი კვიცი იყავი და სისხლიანი როგორც ჩაღატარ,
დარჩები ლექსში გაურიყავი, ცოდვაა ამ ლექსს საფლავში გატან,
მოგდევდა სევდა დიდ ტრამალების და მოატანე დარიალამდე
სულის სულს როგორ დაემალება?! ჩვენი თვალებიც ცრემლით დალამდნენ.
........
გდიოდა ლექსი შენ როგორც სისხლი, მოურჩენელი გულის იარა,
თავის სიკვდილით თავს ვერ დაიხსნი და სისხლი მხოლოდ სისხლს ეზიარა.
.......
და გულში სტირის შენი ანდერძი, სადღეგრძელოში გვახსოვდე მარად,
წითელ ღვინოში შენ პურის კერძი წამოიზრდები სისხლის ტომარად.
ღმერთი და სჯული... არა ვართ შორი, მონღოლის სისხლი გვიდუღს ორთავეს,
სული დააპეს და მერე ძორი... ძორიც ძერებმა გამოათავეს
.....
ჩოფურაშვილთან ვიყავით წუხელ, შენზე ღრიალით გასკდა არღანი,
საკუთარ ძმასაც ვეღარ გავუმხელ, რაც ჩაკირულა გულში ბალღამი.
სამწუხაროა ყველა ესენი და უფრო მწარე კიდევ ის არი,
ლამაზო ბიჭო! სერგეი ესენინ! _ ცოცხალს არ გესმის ეს საფიცარი''.

ამ ლექსის ფინალში, როგორც მის სხვა მრავალ ლექსში, აშკარად იგრძნობა პოეტის წინათგრძნობა, მისი ცხოვრების, სიცოცხლის ტრაგიკული დასასრულისა:

''ამხანაგებო, თუ ღრმა ღელეში, ჩვენი თავებიც სადმე დაგორდეს,
ყველამ იცოდეს _ სხვა პოეტებში ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ ორდენს''.

''ნუთუ ბედისწერამ წინასწარ განსჭვრიტა და ბრმად გაიაზრა მისი დასასრული?..'' (შ. ნიშნიანიძე).

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს შეუდარებელი მხატვრისადმი, ნიკო ფიროსმანისადმი მიძღვნილი ლექსი ''იმათი იყოს ეს სადღეგრძელო'' (1926 წ.), ის მისანივით წინასწარმეტყველებს თავის საბედისწერო აღსასრულზე:

''გაიარს კიდევ ათიოდ წელი და ჩვენს ცხოვრებას უფრო მიქელავს,
ჩვენიც იქნება შესანდობელი, შეგვაბრალებენ საწყალ ნიკალას''.

სატრფიალო ლირიკის ერთ-ერთი შედევრი ''ანანურთან'', რომელიც მისი ოცნების ქალს, უმშვენიერეს ქალბატონს, თამუნია წერეთელს ეძღვნება (ეს ქალბატონი ''ლაღიძის წყლებში'' მოლარედ მუშაობდა _ ა. თ.). ასე მთავრდება:

''მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე,
შენ ჩემს სიკვდილში არ გიძღვის ბრალი''.

''ტიციან ტაბიძის ლექსები ჰაეროვანია, ჟღერადი ფართოტალღოვანი ხმოვნების ზვირთები გვაოცებენ. ყურადღებას თანხმოვნებზე ამახვილებს, მიწა კი არა ყური იპოვა, როცა იგი ლექსებს კითხულობს იდუმალი ხმით: ნაღდი ''აღმოსავლეთია'', მაგრამ დიდებული ''აღმოსავლეთი'', რომლისგანაც ბევრი რამ უნდა ვისწავლო'' (ა. ბელი).

სამაგალითოდ მოვიტან ლექსს ''ქალდეას ბალაგანი''. ლექსში სმენით ეფექტებს ქმნის ალიტერაცია, ნაცადი საშუალება პოეტისათვის. აშკარაა, წ, ქ, ც, ბგერების მონაცვლეობა, რომელიც განსაკუთრებულს ჟღერადობას ანიჭებს სათქმელს (ზოია ცხადაია).

''ძველი სიტყვები დაფიცების, დავიწყებული
ძველი ქალაქი დღეს ნაცარი, უწინ ქებული,
ძველი ქალდეა სწვავს ოცნებას და ეძახის სულს,
ოქროს ლექსებში მე ვუმღერებ დიდებულ წარსულს''.
(1916 წელი).

აქვე შეგვიძლია მოვიტანოთ სხვა მაგალითები:

''მთა მიჰყვება მთას, მთა მთას აწყდება, დგას ლანქერების კორიანტელი''.

''დაჭიმული ძარღვივით მთრთოლვარეა ტიციან ტაბიძის ლექსი, რომელშიც უშუალოდ და ზოგჯერ ყოველგვარ აქსესუარებს მოკლებული პირდაპირობით გამოვლინდა მისი პიროვნება. ერთი მხრივ _ არისტოკრატიული და მეოცნებე, მეორეს მხრივ კი _ ხანჯალივით ალესილი და ცხოვრების სინამდვილეს თვალებში ჩაშტერებული...

ვერსიფიკაციული თვალსაზრისით ერთგვარად ''გაურანდავი'', ასახვის საშუალებათა ზუსტ სიმწყობრესა თუ წესრიგისაგან გაუცხოებული მისი ლექსი, სწორედ შემოქმედებითობის პირველყოფილებით, ინდივიდუალურობის მძლავრი მუხტით არის დღესაც აღმტაცი და შთამაგონებელი: აქ ილანდება თვით ცხოვრება...

ტიციანი იყო განსაკუთრებული ტალანტი, რომლის უპირველესი ნიშნებია მძლავრი პიროვნული ენერგია და დაუოკებელი სწრაფვა თვითგამოსახვისაკენ (აკაკი ვასაძე, ''ტიციან ტაბიძე''. თბ. გამომც. ''მერანი'', 1985 წ. გვ. 4).

''ჭეშმარიტ პოეტს უფლება აქვს შემოქმედებითობის სფეროში გაცხადდეს ყოველნაირი სახით, თუ კი ამ სახეს პოეტის ხასიათი სწვდება, თუ კი ეს სახე პოეტის ბუნებას უთანხმდება და გამოხატავს იმას, რასაც პოეტი შემოქმედებითად ნამდვილად განიცდის... ლექსში გამოხატულ გრძნობას, სახესა და ფიქრს ხომ თვითონ პოეტის პიროვნება უნდა ადასტურებდეს. პიროვნება, რომლის ხასიათი და შემოქმედებითი ენერგია უშუალოდ გამოვლინდება ლექსის გამომსახველობით ფორმაში.'' (აკაკი ვასაძე ''ტიციან ტაბიძე'' თბ. გამომც. ''მერანი'' 1985 წელი. გვ. 30).

ტიციან ტაბიძე ჭეშმარიტი რაინდი იყო, რაინდული სულის მატარებელი. მისი თვალთახედვით პიროვნების ყველაზე მაღალი თვისება არის გმირობა, საბრძოლო შემართება, ამიტომ მიმართავს ის ხშირად წარსულის სურათებს, აცოცხლებს წარსულის გმირებს.

''მან მოახერხა, თავისი განუმეორებელი პოეტური ხმის მეშვეობითა და ცხელი პოხიერი სიტყვის წყალობით სიცოცხლეშივე თავი ქართველი ხალხის სულსა და გულში დაემარხა სამუდამოდ, სანატრელ სიცოცხლეს რომ არასოდეს გაჰყროდა'' (შალვა ფორჩხიძე).

ტიციან ტაბიძის მრავალმხრივ შემოქმედებით მოღვაწეობაში მის მთარგმნელობით საქმიანობას საპატიო ადგილი უკავია. პოეტს სხვადასხვა დროს უთარგმნია: ალ. პუშკინის, კ. ბალმონტის, თ სოლოგუბის, ალ. ბლოკის, შ. ბოდლერის, პ. ვერლენის, ავ. ისააკიანის, ლ. არაგონის, ნ. პიქმეთის, ა. გიდაშის, ი. ბეხერის, ზ. ჰიპიუსის, ლ. ლენაუს, დ. მერეჟკოვსკის და სხვათა ნაწარმოებები. არც ლ. ტოლსტოის ''ჰაჯი მურატისა'' და თ. დოსტოევსკის ''ლეგენდა დიდ ინკვიზიტორზე'' თარგმანები გამოსვლია ურიგო.

''ყველაზე მეტად პოეზია ამშვენებს ჩვენს პლანეტას და ყველაზე მეტად იგი კვებავს სხვა დარგის გიგანტთა სულსა და ჭკუას. მონტენის სამაგალითო წიგნი ჰორაციუსის ლექსები იყო. ტოლსტოი ამბობდა: ''უტიუტჩეოდ ცხოვრება შეუძლებელიაო'' და მისი ლექსის ''ბინდის'' კითხვისას ცრემლები წასცდებოდა ხოლმე... მხოლოდ ისეთი ლექსი თუ პოეტია საჭირო, ურომლისოდაც ცხოვრება გაძნელდებოდა. ეს აზრი ზოგმა ჩვენს დროშიაც დაამტკიცა, მაგ: საქართველოში _ ''გალაკტიონმა'' (აკაკი გაწერელია, ''რჩეული ნაწერები'', ტ. II, გამომც. ''მერანი'', თბ. 1978 წ. გვ. 9-10).რომ გაანათოს მთელი ქვეყანა''.
1935 წელი.
(ტ. ტაბიძე, ''პოეზია'' ტ. I, თბ. 2012, გვ. 211).

**აკაკი თევზაძე**
**პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიის ლაურეატი**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ''პირზე მომდგარსა სიტყვასა...''

**პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი ღმერთსა თანა და ღმერთი იყო სიტყვა იგი (სახარება იოანესი 1.1.).**

სიტყვას რელიგია მოაზროვნე სულად აღიარებს. ესაა ძალა, რომლითაც ადამიანმა თავი უნდა შეიცნოს, ვინაა იგი, და მოიქცეს ისე, როგორც მის ღირსებას ეკადრება.

თუ სიტყვას აღვიქვამთ სრულად, როგორც ის სინამდვილეშია, მუდმივი დაფიქრება გვმართებს საზოგადოებასთან ურთიერთობის დროს მისი გამოყენებისას. გააზრებულად უნდა დავუფიქრდეთ ყოველ ფრაზასა და ბგერათა წარმოთქმის ტონალობას. მოვუფრთხილდეთ ჩვენს რეპუტაციას და სიტყვის ადრესატსაც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ''კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა''.

მეცნიერები ამტკიცებენ და არცთუ უსაფუძვლოდ: მადლიერებისა და სიძულვილის გამომხატველი სიტყვები, პოზიტიურად და ნეგატიურად მოქმედებენ არა მარტო ადამიანებზე, არამედ მცენარეებზე, ცხოველებსა და წყალზეც კი. ბილწსიტყვაობა აზიანებს მათ გენეტიკას. ქართული გამონათქვამია: ''მუდმივად ცუდმა შეძახილმა ხე გაახმო''-ო და საპირისპიროდ: კეთილი სიტყვა ''ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად''.

მცენარეთა მგრძნობელობისადმი მეტი დამაჯერებლობისთვის მკითხველს შევახსენებ, რომ აფრიკაში ხარობს ხის ჯიში, რომელიც მტაცებელთა კატეგორიას განეკუთვნება. მის არეალში სულიერის შესვლა საშიშია, რადგან ტოტები მსხვერპლს აიტაცებენ, სისხლს გამოწოვენ და მისგან მხოლოდ ძვლისა და ხორცის ნარჩენებს ტოვებენ.

ისიც ცნობილია, რომ არსებობენ მცენარეები, მათ შორის ჩვენს რაიონში, რომლის ფოთლები ღამით იკუმშება და მცენარე ძილს ეძლევა. მტირალა ტირიფების შესახებ, ალბათ, ყველამ კარგად იცის. ბაბუაჩემის ძმა, ცნობილი კომპოზიტორი და ქველმოქმედი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ჰიმნის, ''დიდების'' ავტორი, კოტე ფოცხვერაშვილი, თავის ლექციებში მოყვანილი მაგალითებით ამტკიცებდა, რომ ბგერების ზემოქმედებით, მგრძნობიარე მუსიკითა და სიმღერა-გალობის გავლენით, მცენარეთა ნაყოფიერება საგრძნობლად მატულობს. ჩვენი სასიქადულო პოეტის, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ხომ გაჯერებულია იმ ადამიანთა უნარით, რომელთაც ბუნებისა და ცხოველთა ენა გათავისებული ჰქონდათ და კიდევ, საგანს, რომელსაც საქართველოს სკოლებში ისწავლება,''ბუნებისმეტყველება'' ჰქვია.

ცხოველებზე მათთვის მიუღებელი ბგერების ზემოქმედების მაგალითად ჩემი თვალით ნანახი და განცდილი ფაქტიც გამოდგება. გასული საუკუნის 80-იან წლებში, სოხუმში ჩემს მეგობარს, მელორ ტყეშელაშვილს ადგილობრივმა ახლობლებმა მანქანის იტალიური ''სიგნალი'' აჩუქეს და მისი პირუტყვების გარემოცვაში გამოყენებისაგან თავშეკავება ურჩიეს. მეორე დღეს, სოხუმის გარეუბანში, ''სიგნალის'' სისტემატიურად მიცემისას, საძოვარზე მყოფი პირუტყვთა ჯოგი ჯერ დაიძაბა, ხოლო შემდეგ ჩვენი მანქანისაკენ ისეთი ძალით გამოქანდა, რომ გადაქელვას გაქცევით გადავურჩით. ბორჯომში ახლაც ცხოვრობს პიროვნება, რომელიც ბგერების ძალით, ყმუილის იმიტაციით ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში ბინადარ მგლებთან ''მეგობრული'' ურთიერთობა აქვს. სიტყვებისა და ბგერათა მაგიური ძალის ზემოქმედებით ხდება ცხოველთა მოთვინიერება და ისიც, რომ ისინი ბუნებრივ მოვლენებს ყველაზე ადრე, წინასწარ გრძნობენ და რეაგირებენ. ამინდის მკვეთრი გაუარესება, ვულკანის ამოფრქვევა, მთვარისა და მზის დაბნელება და სხვა.

ამერიკელი მეცნიერი, რუსტამ როი ამტკიცებს, რომ წყალს თავისი შეგრძნების სისტემა გააჩნია, რომ იგი, უნიკალური მეხსიერების უჯრედების მეშვეობით, გამდიდრებული და უხრწნელი რჩება''.

იაპონელი მეცნიერის ემოტო მასარუს გამოკვლევით წყალი შეიწოვს და გადასცემს ინფორმაციას ყველაფერზე, რაც მის გარშემო ხდება... ნეგატიური მოვლენები მას წამლავს, რომ წყლის სტრუქტურაზე პოზიტიურად მოქმედებს სიყვარულისა და მადლიერების სიტყვები. ნეგატიურად _ სიძულვილი და გულგრილობა''. ოჯახური ბილწსიტყვაობა, მკრეხელობა, სიტყვით გამოხატული ცუდი ყოფითი გარემო მკვეთრად აზიანებს მის გენეტიკას. ეკლესია ამით ხსნის ოჯახში ნაკურთხი წყლის გახრწნას.

წყლის მგრძნობელობისა და მისგან ღვთიური მადლის გადმოსვლის ნათელი დასტურია ქრისტეს მიერ მდინარე იორდანეში ჩატარებული პირველი ნათლობა. ეკლესიაში ნაკურთხი წყლის პკურებით ხომ ღვთიური მადლის გადმოსვლა ხდება.

იმ დროს, როცა სრულად დადასტურებულია მცენარეებზე, ცხოველებსა და წყალზე სიტყვის მაგიური ძალის ზემოქმედება, ჩვენ, ადამიანები ნაკლებად ან საერთოდ არ ვითვალისწინებთ მისი ზემოქმედებით მოსალოდნელ უარყოფით, ზოგჯერ უკიდურეს, გამოუსწორებელ შედეგებს. სიტყვაში გამოსვლისას წარმატებულად მივიჩნევთ ადრესატის ფიზიკურ ნაკლსა თუ სხვა უარყოფით თვისებებზე საუბარს. ანგარიშს არ ვუწევთ საზოგადოებრივ აზრს, ჩვევად ვაქციეთ, ღირსეულთა ჩაქოლვის ფონზე, უვიცთა და უღირსთა გაფეტიშება.

ბოლო დროს ძალზე მოგვიმრავლდნენ ე. წ. ყიამყრალი, ბილწი სიტყვაობის ადამიანები, რომლებიც პრესისა თუ ტელევიზიების საშუალებით ისეთ ''მარგალიტებს'' აფრქვევენ, ''ყურიდან ყურში რომ არ შეიშვება''. საწყენი და სამწუხარო ისაა, რომ მათი ავტორები ხშირად საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანები არიან: მწერლები, საზოგადო მოღვაწენი, ხელოვნების დარგის მუშაკები, ე. წ. პოლიტიკოსები და პარლამენტარები. არადა, ვინ თუ არა მათ უნდა იცოდნენ: ''პირზე მომდგარსა სიტყვასა განა ყველასა თქმა უნდა?''

ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი უნდა გაგიკვირდეს ქვეყნის მკვიდრთაგან, რომელსაც სიტყვის გადამთქმელი პრეზიდენტი ჰყავს, რომელიც ამომრჩევლის წინაშე სექსუალური ურთიერთობების მრავალფეროვნებით თავს იწონებს. რომლის გამონათქვამები ელემენტარულად ვერ პაუხობს მოთხოვნებს, მოიქცეს ისე, როგორც მის პიროვნებას, გნებავთ, თანამდებობას ეკადრება.

უფალი ბრძანებს: ''ყოველი სიტყვა, რომელსა იტყოდნიან კაცნი სიტყვათაგან შენ განმართლდე და სიტყვათაგან შენთაგან დაისაჯო''. ყურადღება მისაქცევია ფრაზა: ''სიტყვათაგან შენთაგან დაისაჯო''. ჩემი აზრით, მისი ნათქვამის გამო პრეზიდენტი იმპიჩმენტს იმსახურებდა.

ქვეყნის პირველი პირის ასეთი გამონათქვამების შემდგომ რატომ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ''პარტიზანი მებაღეების'' ერთ-ერთი ლიდერი უკიდურესი ბილწსიტყვაობით პასუხობს ჟურნალისტის კითხვას.

არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა ე. წ. ''მწერალი რეფორმატორი'' ''გვმოძღვრავს'', რომ დედის სხეულის სუნმა, ტუალეტიდან გამოსულს, შეიძლება, სხვა სურვილებიც აღუძრას.

მახსოვს, 40 წლის წინ ქუთაისის № 3 სკოლა-გიმნაზიის დირექტორმა ქალბატონმა თამარ დახუნდარიძემ, რესპუბლიკური ტელევიზიით გამოსვლისას, რაოდენ დიდი გულისწყრომა გამოხატა სპექტაკლის, ''ჯაყოს ხიზნების'' ერთ-ერთი სცენის საჯაროდ ჩვენების გამო.

ახალგაზრდა მასწავლებელ ქალთა ერთმა ნაწილმა ქართული ფილმის ''ჩრდილი გზაზე'' ეკრანზე გამოსვლის შემდეგ, პროტესტის ნიშნად, გაკვეთილების ჩატარებაზე უარი განაცხადა, მასში ქალი მასწავლებლის შეუფერებელი საქციელის გასაჯაროებისათვის.

სიტყვა დასტამბული თუ ზეპირად ნათქვამი წარმომთქმელის სულში რომ ჩაგახედებს და პიროვნებას მისი განათლების, კულტურისა თუ ზნეობის მიხედვით ისე წარმოგიდგენს, სინამდვილეში როგორიცაა, ამის ნათელ დასტურს ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიც წარმოადგენს.

გასული წლის გაზეთ ''ასავალ-დასავალის'' ერთ-ერთ ნომერში, ახალგაზრდა მაგისტრის, ლევან ლორთქიფანიძის ინტერვიუ დაიბეჭდა, სადაც იგი თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილ რექტორს, ყველასთვის დიდად პატივსაცემ პიროვნებას, ბატონ როინ მეტრეველს მწვავედ აკრიტიკებს და უნივერსიტეტის ნგრევაში მის მონაწილეობაზე საუბრობს. გაზეთის მომდევნო ნომერში ბატონი როინის ისეთი პასუხი გამოქვეყნდა, როგორიც მისი პიროვნების სულიერ სამყაროს ეკადრება. გარდა იმისა, რომ მასში სრულადაა ახსნილი მისადმი წაყენებული ბრალეულობათა უსაფუძვლობა და აბსურდულობა, იგი წერილის ადრესატზე, როგორც დადებით პიროვნებაზე საუბრობს, რომ ''ლევანი გამორჩეულია თავისი გონიერებით, გავა დრო და მის თანაგუნდელებთან ერთად უფრო ღრმად ჩაიხედავს უნივერსიტეტისა და საერთოდ, განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებში''.

სამწუხაროდ, დღეს ფასი დაჰკარგა და ''სანთლით საძებარია'' ადამიანები, რომელთაც ქართული გამონათქვამი მიესადაგებოდეს: ''სიტყვის კაცია'', ''მის ნათქვამ სიტყვას არ ეღალატების'', ''სიტყვის გატეხვას თავის გატეხვა ჯობიაო''... აღარ არიან: ჰაჯი-უსუპები, ცოტნე დადიანები, ქეთევან წამებულები, გიორგი სააკაძეები, მღვდელი თევდორეს მსგავსი ადამიანები. საპირისპიროდ მომრავლდა ადამიანთა ისეთი კატეგორია, რომელთაც ''ავი სიტყვა ურჩევნია სულსა გულსა''. დაცინვა, დამცირება, ქილიკი, გამასხარავება, აბუჩად აგდება ხომ ჩვენი საქციელის ყოველდღიურობის წესად და ნორმად იქცა. დავკარგეთ ქართველი კაცისათვის ერთ დროს ძვალრბილში გამჯდარი ქალისადმი მოკრძალებული დამოკიდებულების ჩვევა.

ისმის კითხვა, რა ხდება, ვის დავაბრალოთ ყოველივე? მშობლებს, რომლებმაც სიცოცხლე გვაჩუქეს, თუ პედაგოგებს, რომელთა მოვალეობა საზოგადოებისათვის მისაღებ ადამიანებად აღზრდაა. ალბათ, ერთსაც და მეორესაც, მაგრამ ამ საკითხში ყველაზე ბრალეული საზოგადოება, ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქენი ვართ. ჩვენ, რომლებიც ამ უმსგავსო საქციელს ყოველდღიურად ვხედავთ, ვუსმენთ და დუმილით ვხვდებით. მასზე რეაგირება ჩვენს მოვალეობად არ მიგვაჩნია.

გულწრფელი ვიყოთ და ვაღიაროთ: ქუჩაში რამდენჯერ მოგვისმენია, როცა მოზარდი თანატოლებთან რაიმეს დასამტკიცებლად მშობელ დედას ისეთ კონტექსტში ახსენებს, რისი განმეორება კი არა, გახსენებაც მზარავს. მოგვისმენია და ვითომაც არაფერი. შედეგიც სახეზეა, მივიღეთ ის, რაც მივიღეთ, მაგრამ როდემდე? სად მიგვიყვანს ყოველივე ეს და საითკენ მივდივართ?

პირადად მე, კითხვებზე სრულყოფილი პასუხის გაცემა გამიჭირდება. კარგი იქნება, თუ თემას ფართო მსჯელობის საგნად ვაქცევთ. იქნებ, დადგა დრო, ყოველგვარი იმუნიტეტის გარეშე, სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს ყველას, ვისაც ბილწსიტყვაობა თავისი ლექსიკის ნორმად უქცევია.

**ბორის ფოცხვერაშვილი**

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს ანზორ გეგუჩაძეს

**დის**

გარდაცვალების გამო.

# ფოტო ისტორიას ჰყვება

ამ დღეებში მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი ჭადრაკში ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი იუბილარია.

საქართველოს ეროვნული ოსტატი ჭადრაკში, ბატონი მერაბ არჩვაძე ამას წინათ რედაქციაში გვეწვია და ორი ფოტო მოგვიტანა მსოფლიო ჩემპიონის სამტრედიაში სტუმრობას რომ ასახავს.

ერთ ფოტოზე ვაგზალზე საზეიმო შეხვედრის მომენტია აღბეჭდილი.

მეორე ფოტოზე რაიონის ხელმძღვანელები (მარცხნიდან) თალიკო მიქაძე, ნოდარ კოხრეიძე, პანტელეიმონ გაგუა, ნათელა გელეიშვილი არიან გამოსახულნი ჩემპიონთან ერთად, მიკროფონით მერაბ არჩვაძე.

ჭადრაკის სამტრედიის გულშემატკივართა სახელით იუბილეს ვულოცავთ ქალბატონ ნონას და ხანგრძლივ ნაყოფიერ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ სამომავლოდ!

ლევან გაბეჩავა





## ნონა გაფრინდაშვილი სამტრედიაში 1969-1971 წლები

ქალაქ სამტრედიის 100 წლისთავის აღნიშვნის წინა პერიოდი იყო, როცა ქალაქს მსოფლიოს ორი ჩემპიონი, ნონა გაფრინდაშვილი და რაიონის მკვიდრი ვახტანგ ბალავაძე ესტუმრნენ. ბატონი ვახტანგი სამტრედიის ხშირი სტუმარი იყო, ნონა გაფრინდაშვილი კი საპატიო მისიით იყო მოწვეული. 1969 წელს მან ჭადრაკის სახლის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი.



სურათზე: პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ნოდარ კოხრეიძე, მეორე მდივანი თალიკო მიქაძე, მსოფლიო ჩემპიონი ვახტანგ ბალავაძე, მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი და კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანი თამაზ მიქაძე ჭადრაკის სახლისათვის ტერიტორიის შერჩევისას.



სურათზე: მსოფლიო ჩემპიონი ვახტანგ ბალავაძე, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამირან მანჯგალაძე, პარტიის რაიკომის მეორე მდივანი თალიკო მიქაძე და მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი.

ახლა ამ ადგილზე ლამაზი, ეკლარის ქვით მოპირკეთებული შენობა აღიმართა, რომლის გახსნის პატივი ისევ ჭადრაკის დედოფალს ხვდა წილად.

სურათზე, რომელიც რომან ბექაიას მიერ არის გადაღებული სწორედ ის მომენტია აღბეჭდილი, როცა ნონა გაფრინდაშვილი (მიკროფონთან) ულოცავს სამტრედიელ მშრომელებს საქართველოს კომკავშირის იუბილეს დღეებში, ძვირფასი საჩუქრის _ საჭადრაკო კლუბის მიღებას.



3 მაისი მსოფლიო მრავალგზის ჩემპიონის ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილის დაბადების დღეა, მას 76 წელი უსრულდება, ვუსურვოთ ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, წარმატებები ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

თამაზ მიქაძე



## ბეჟან გოგიას!

ღერი ჭაღარაც არ აქვს,
ვერვინ დასწამებს სიბერეს,
პიჯაკთან ჯინსი აცვია,
უკრავს "ბითლზების" სიმღერებს.

უვნებლად გამოიარა
ვიწრო გზა, აღმართ, დაღმართი,
40 წელზე მეტს ვერ მისცემ,
ჰა და ჰა _ ორმოცდაათი.

## ვულოცავთ!

ბატონ ბეჟან გოგიას!

გილოცავთ დაბადების დღეს, წარმატებებს გისურვებთ სამსახურებრივ საქმიანობაში.

იხარეთ, იდღეგრძელეთ საყვარელ ოჯახთან ერთად.

უფალმა გაგაძლიეროთ.

"სამტრედიის მაცნე"

---

ბატონ ბეჟან გოგიას!

დაბადების დღეს გილოცავთ, იხარეთ და იდღეგრძელეთ, უფალი გფარავდეთ.

პატივისცემით ვეტერანთა რაიონული კავშირი

## თაკო და ლუკა!



სიხარულის ცრემლები ებჯინება მონატრებით დაღლილ თვალებს. შორიდან ვუერთდები ჩემი ერთადერთი ქალიშვილის ბედნიერებას. გლოცავთ და გილოცავთ. უკიდეგანო სიყვარულით ღირსეულად გეზიდოთ ოჯახური ცხოვრების ნაადრევად დადგმული უღელი. აკვნის სიმრავლეს, ერთმანეთის გვერდით დგომას და სიძნელეების დამარცხებას გისურვებთ თქვენზე უზომოდ მონატრებული დედა. მეიმედებით, მაბედნიერებთ. ჩემი მონატრების ცრემლიანი მოლოცვა თქვენ, განუსაზღვრელი დედური სიყვარულით და სითბოთი გაჯერებული!

ემიგრანტი დედა შორენა მიქაძე





ქ.სამტრედია, რუსთაველის ქუჩა № 23/2.
ტელ.: 599 43 26 34.


რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბეჟან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაკაკა